



**შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი**

**სამართლის ფაკულტეტი
კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა**

თემა: საავტორო უფლებები და მათი შეზღუდვის საფუძვლები

**ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
სტუდენტი: ლიკა ბუცხრიკიძე**

ნაშრომის ხელმძღვანელი:

დოქტორი ლიკა საჯაია

თბილისი

2019

შინაარსი

ანოტაცია.....	3
Annotation.....	5
შესავალი	6
თავი I ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა.....	10
თავი II საავტორო უფლების არსი	
2.1 ინტელექტუალური საკუთრების ცნება და მისი ისტორიული განვითარება.....	13
2.2 საავტორო უფლება როგორც ინტელექტუალური საკუთრება.....	20
2.3 საავტორო უფლებების დაცვის საერთაშორისო რეგულირება.....	28
თავი III ავტორის ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები	
3.1 ავტორის პირადი არაქონებრივი (მორალური) უფლება.....	32
3.2 ავტორის ქონებრივი უფლება.....	40
თავი IV ავტორის ქონებრივ უფლებათა შებლუდები და გამონაკლისები	
4.1 გამონაკლისები რეპროდუცირების უფლებებთან.....	51
4.2 ციტატების მოყვანის უფლება.....	53
4.3 ნაწარმოებების გამოყენება ილუსტრაციების სახით სწავლების მიზნებისათვის.....	55
4.4 წყაროს და ავტორის მითითება.....	56
4.5 გამონაკლისები მასმედიასთან და მიმდინარე მოვლენების გაშუქებასთან დაკავშირებით.....	57
4.6 გამონაკლისები ნაწარმოების ეთერით გადაცემასა და საჯარო გაცნობის სხვა საშუალებებთან დაკავშირებით.....	59
4.7 ლექციების და მიმართვების გარკვეული გამოყენება.....	60
4.8 მუსიკალური ნაწარმოებებისა და მათთან დაკავშირებული ტექსტების ჩანერის უფლების შებლუდვა.....	61
დასკვნა.....	65
გამოყენებული ლიტერატურა.....	68

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომში „საავტორო უფლებები და მათი შეზღუდვის საფუძვლები განხილულია საავტორო უფლებების წარმოშობის, დაცვისა და მათი შეზღუდვის საფუძვლები ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებების და სახელმწიფოში მოქმედი "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" კანონის საფუძველზე. თემის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ 21-ე საუკუნეში, როდესაც ტექნოლოგიური განვითარება იძლევა ნაწარმოებთა ასლების გამრავლებისა და გავრცელების უფრო მეტ შესაძლებლობას, უფრო მეტად ხდება საჭირო საავტორო უფლებების დაცვა.

სამაგისტრო ნაშრომი შედგება ოთხი თავისაგან და მისგან გამომდინარე ქვეთავებისაგან. ნაშრომის პირველი თავში განვიხილავთ საავტორო უფლების არსს, საავტორო უფლებას როგორც ინტელექტუალური საკუთრებას მის ადგილს ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სისტემაში. ასევე მიმოვიხილავთ ინტელექტუალური საკუთრების ცნებას და მის ისტორიულ განვითარებას.

ნაშრომის მეორე თავში განვიხილავთ თუ როგორ ხდება საავტორო უფლებების დაცვა საერთაშორისო კონვენციების და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. განვიხილავთ საერთაშორისო შეთანხმებებს (ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებთა დაცვის შესახებ ბერნის კონვენციას, საავტორო უფლებების უნივერსალურ კონვენციას (The Universal Copyright Convention (or UCC) და ქართულ კანონმდებლობას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ნაშრომის მესამე თავში განვიხილავთ ავტორის ქონებრივ და პირად არაქონებრივი უფლებებს, ავტორის ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებათა სუბიექტებს, ქონებრივი უფლებებს (რეპროდუქცია, თარგმნა, გავრცელების უფლება და სხვ.) პირადი არაქონებრივი უფლებებს (ავტორის უფლება, ნაწარმოების

ხელშეუხებლობის უფლება) და სხვა. საავტორო უფლების მოქმედების ვადას.

ნაშრომის მეოთხე თავი ეძღვნება ავტორის ქონებრივ უფლებათა შეზღუდვებს და გამონაკლისებს, რომელიც ასახულია ბერნის კონვენციის მთელ რიგ დებულებებში რამაც თავისი ასახვა ჰპოვა ქვეყნების ეროვნულ კანონმდებლობებში. უფლებების შეზღუდვა აბალანსებს ავტორებისა და საზოგადოების ინტერესებს ნაწარმოებების გამოყენებასთან დაკავშირებით.. ბერნის კონვენციის ნორმები, რომლებიც აწესებს აღნიშნულ შეზღუდვებს, იყოფა სამ ძირითად ჯგუფად. პირველს რომელთა საფუძველზეც ეროვნული კანონმდებლობით დაცვის გავრცელების არიდან შეიძლება გამორიცხულ იქნეს გარკვეული სახის ნაწარმოებები. მეორე ჯგუფს განეკუთვნება დებულებები, რომლითაც კავშირის წევრ ქვეყნებს ეძლევათ უფლება დაუშვან ნაწარმოებთა თავისუფალი გამოყენება გარკვეული პირობებითა და გარკვეული მიზნებით და მესამე ჯგუფის დებულებების შესაბამისად, შესაძლებელია ნაწარმოებების გარკვეული სახით გამოყენება ნებართვის გარეშე, მაგრამ სამართლიანი ანაზღაურების პირობით. ნაშრომის ბოლოს მოცემულია დასკვნა და გამოყენებული ლიტერატურის სია.

Annotation

In this work „copyrights and their restriction basics”, are discussed the generation, defending and restriction of copyrights on the basis of international agreements in the field of intellectual property and the law in the state about „copyrights and neighboring rights”. Actually of this topic is caused by technology in 21-st century, which gives us more and more opportunities of making and spreading copies, therefore it is required to defend copyrights stronger.

Master thesis consists of four chapters and its subheadings. In the first chapter is discussed the meaning of copyrights, copyright as an intellectual property and its role in the intellectual law system. Also, there is reviewed the concept of intellectual property and its historical development.

In the second chapter of this work is discussed protection of copyrights in accordance with international conventions and Georgian legislation. There also will be reviewed international agreements (The Berne Convention about defending literary and artistic works, the Universal Copyrights Convention and Georgian legislation about this subject.

In the third part of the work will be discussed author's property and private non-property rights, property rights, (the rights of reproduction, translation and distribution etc), private non-property rights (author's rights, the rights of inviolability of work) and etc, the terms of copyrights protection.

The fourth chapter is dedicated to author's rights restrictions and exceptions, which are reflected in the provisions of the Berne Convention and its reflection was found in the national legislation of different countries. The restriction of rights balances the author's and the public's interests about using works. The norms of the Berne Convention, which imposes these restrictions is divided into three main groups. On the basis of the first group some works may be excluded out of the law protection area. The second group belongs to the provisions of which the states, which are the members of the union are able to allow

free using of the work under certain conditions and purposes. In accordance with the third group's provisions using the work without permission is allowed under certain conditions, but with fair payments. There is given conclusion and the list of used literature at the end of the work.

შესავალი

ყველა სახელმწიფოს ამოცანაა, ხელი შეუწყოს ინტელექტუალური საკუთრების, შემოქმედებითი შრომის საავტორო უფლებების სამართლებრივად დაცვის საკითხს. 21-ე საუკუნეში, როდესაც ადამიანის გონებრივი შესაძლებლობები ფართოდ არის გახსნილი, უფრო მეტად ხდება საჭირო საავტორო უფლებების დაცვა. ადამიანის გენია ხელოვნების ქმნილებათა და გამოგონებათა წყაროა. ადამიანის გონების მიერ შექმნილი ინტელექტუალური პროდუქტი ადამიანის ღირსეული ყოფის გარანტიაა და სახელმწიფო მოვალეა უზრუნველყოს მისი საიმედო დაცვა. ადამიანის გონებრივი შრომის დაცვის აუცილებლობა ერის ღირსების საქმედ იქცა.

თემის აქტუალობა ინტელექტუალური საკუთრება თანამედროვე პირობებში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. იგი ადამიანის გონებრივ შემოქმედებას უკავშირდება ლიტერატურის, ხელოვნების, ტექნოლოგიებისა თუ სხვა სფეროში. ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი დაცვა უზრუნველყოფს კაცობრიობის პროგრესსა და მის მრავალმხრივ განვითარებას, ეკონომიკურ წინსვლას, ინოვაციური იდეების დანერგვას და სხვა. თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად საავტორო უფლებების დაცვა და რჩება. მიუხედავად იმისა, რომ საავტორო უფლებები მკაცრადაა დაცული საერთაშორისო კონვენციებით და ეროვნული

კანონმდებლობით საავტორო უფლების დაცვამ არ უნდა შეუშალოს ხელი ხელოვნების და კულტურის განვითარებას და ასევე ადამიანის ძირითად უფლებას „დატკბეს ხელოვნების ნაწარმოებით.“

ტერმინი “საავტორო უფლებები,” იმ უფლებებთა ერთობლიობას გულისხმობს, რომელიც ავტორს აქვს მის მიერ შექმნილ ნაწარმოებზე და ვრცელდება ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომის შედეგზე. ობიექტები, რომლებსაც ეს უფლება იცავს არის ლიტერატურული, კინემატოგრაფიული, არქიტექტორული, ფოტოგრაფიული, მუსიკალური ნაწარმოებები და სხვა. საქართველოში განსაკუთრებით ამ უკანასკნელის ავტორების უფლებები ირღვევა, რადგან მათი გამოყენების სფერო საკმაოდ მრავალფეროვანია.

საავტორო უფლებების და ინტელექტუალური საკუთრების დაცვას ნებისმიერ ქვეყანაში დიდ როლს ანიჭებენ. საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების დაცვა საერთაშორისო კონვენციებისა და ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად ხდება. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმოს) დამფუძნებელი კონვენციის წევრი საქართველო 1991 წელს გახდა, ხოლო ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის კონვენციის წევრია 1995 წლიდან. ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, სახელმწიფომ კონკრეტული ვალდებულებები აიღო საავტორო უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. საქართველოს კანონმდებლობა მონესრიგებული და ჰარმონიზებულია ევროპულ კანონმდებლობასთან. საქართველოში არსებობს დაცვის ყველა ის მექანიზმი, რომელიც თანამედროვე მსოფლიოში მოქმედებს. საქართველოში მოქმედი კანონი "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ", უზრუნველყოფს, საავტორო უფლებების დაცვას. კანონის თანახმად, საავტორო უფლება ვრცელდება როგორც გამოქვეყნებულ, ისე გამოუქვეყნებელ ნაშრომზე, რომელიც რაიმე ობიექტური ფორმით არსებობს. საავტორო უფლება ნაწარმოების შექმნისთანავე წარმოიშობა და მოქმედებს ავტორის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალებიდან 70 წლის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ კანონში საკმაოდ კარგადაა განწერილი ნორმები, საავტორო უფლებები საქართველოში

მაინც ირღვევა. საავტორო უფლებათა დაცვის კონკრეტული პრეცედენტები თანდათან წარმოიშვა საქართველოში და სასამართლოები უკვე იხილავენ საავტორო სამართლებრივ დავებს. თუმცა მათი რიცხვი მაინც მცირეა, ავტორები იშვიათად მიმართავენ სასამართლოს უფლებათა დაცვის მიზნით, რაც განპირობებულია საავტორო უფლებათა შესახებ არასათადანო ინფორმირებით.

ნაშრომის დასახული მიზანია მოვახდინოთ საავტორო უფლებების კლასიფიკაცია, განვიხილოთ როგორ ხდება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების წარმოშობა და განვიხილოთ მისი შეწყვეტის საფუძვლები.

ნაშრომში განხილულია საავტორო უფლებები და მათი შეწყვეტის საფუძვლები საერთაშორისო კონვენციებისა და ადგილობრივი კანონმდებლობის საფუძველზე, ძირითადი აქცენტი გაკეთებულია თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საავტორო სამართლის და ინტელექტუალური საკუთრების სრულყოფას ქვეყნისათვის, იგი შეიძლება მივიჩნიოთ ეკონომიკის წარმატების განმსაზღვრელად, რადგანაც თუ ეს სფეროები განვითარებული იქნება ქვეყნის წინსვლა და ასევე ევროინტეგრაცია უფრო ახლოს მგდომი მიზანი გახდება.

ნაშრომის მთავარი მიზანია ნათლად წარმოაჩინოს ის ძირეული საკითხები რაც ინტელექტუალურ სამართალთან დაკავშირებით არსებობს, ასევე ერთიანობაში გამოჩნდეს თუ ზოგადად რას წარმოადგენს ეს სფერო. განვიხილავთ საავტორო უფლების არსს, საავტორო უფლებას როგორც ინტელექტუალური საკუთრებას მის ადგილს ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სისტემაში. ასევე მიმოვიხილავთ ინტელექტუალური საკუთრების ცნებას და მის ისტორიულ განვითარებას, როგორ ხდება საავტორო უფლებების რეგულირება საერთაშორისო კონვენციების და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. განვიხილავთ საერთაშორისო შეთანხმებებს (ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებთა დაცვის შესახებ ბერნის კონვენციას, საავტორო უფლებების უნივერსალურ კონვენციას (The Universal Copyright Convention (or UCC) და ქართულ კანონმდებლობას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. განვიხილავთ ავტორის ქონებრივ და პირად არაქონებრივი უფლებებს, ავტორის ქონებრივ და

პირად არაქონებრივ უფლებათა სუბიექტებს, ქონებრივი უფლებებს (რეპროდუქცია, თარგმნა, გავრცელების უფლება და სხვ.) პირადი არაქონებრივი უფლებებს (ავტორის უფლება, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება და სხვ.,) საავტორო უფლების მოქმედების ვადას.

საავტორო სამართლის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზევე კანონმდებლებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს გარკვეულ შემთხვევებში საავტორო უფლებების შეზღუდვის აუცილებლობა, რამაც თავისი ასახვა ჰპოვა ქვეყნების ეროვნულ კანონმდებლობებში. უფლებების შეზღუდვას შემოაქვს მაკორექტირებელი ელემენტები, რომლებიც აბალანსებს ავტორებისა და საზოგადოების ინტერესებს ნაწარმოებების გამოყენებასთან დაკავშირებით რომელიც ასახულია ბერნის კონვენციის მთელ რიგ დებულებებში. ბერნის კონვენციის ნორმები, რომლებიც აწესებს აღნიშნულ შეზღუდვებს, შეიძლება დავეყნოთ სამ ძირითად ჯგუფად. პირველს რომელთა საფუძველზეც ეროვნული კანონმდებლობით დაცვის გავრცელების არიდან შეიძლება გამორიცხულ იქნეს გარკვეული სახის ნაწარმოებები. ასეთებად, როგორც ითქვამს, შეიძლება მიჩნეულ იქნეს საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, იურიდიული ხასიათის ტექსტები და ამგვარი ტექსტების ოფიციალური თარგმანები, გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები, პოლიტიკური ხასიათის გამოსვლები და სასამართლო პროცესების მსვლელობისას წარმოთქმული სიტყვები, და სხვა. მეორე ჯგუფს განეკუთვნება დებულებები, რომლითაც კავშირის წევრ ქვეყნებს ეძლევათ უფლება დაუშვან ნაწარმოებთა თავისუფალი გამოყენება გარკვეული პირობებითა და გარკვეული მიზნებით, მაგალითად, სასწავლო პროცესში, კვლევის მიზნით ან სიახლეების შესახებ რეპორტაჟებში გამოსაყენებლად და დებულებების მესამე ჯგუფის დებულებების შესაბამისად, შესაძლებელია ნაწარმოებების გარკვეული სახით გამოყენება ნებართვის გარეშე, მაგრამ სამართლიანი ანაზღაურების პირობით.

კვლევის მეთოდოლოგია ნაშრომში თეორიული პრინციპები და წესები წარმოდგენილია მეთოდოლოგიის საშუალებით. ნაშრომში განსაზღვრულია მიზნის მისაღწევი კონკრეტული პრაქტიკული ხერხები, რჩევები და რეკომენდაციები.

კვლევის პროცესში გამოვიყენეთ: დიალექტიკური ლოგიკა, შედარებითი სამართლებრივი მეთოდი, სისტემური მიდგომა, ასევე ანალიზის, სინთეზის და დაჯგუფების მეთოდები.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა: ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 65 გვერდს, იგი შედგება შესავლის, სამი თავის, ქვეთავების და დასკვნისაგან. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

თავი I ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა

ჩემს მიერ განხილულ თემაში „საავტორო უფლებები და მათი შეზღუდვის საფუძვლები- ის“ კვლევის შედეგად გამოვავლინე საავტორო უფლებების არსი, მისი შეზღუდვის საფუძვლები და მასთან დაკავშირებული პრობლემები. ამასთან შეძლებისდაგვარად ჩამოვაყალიბე ახლებური ხედვა და გადაწყვეტის გზები ამ საკითხთან დაკავშირებით.

კვლევის მიზნებისთვის და აქტუალობისთვის ჩემს მიერ განხილული და გაანალიზებულია საავტორო უფლებების წარმოშობის, დაცვისა და მათი შეზღუდვის საფუძვლები ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებების და სახელმწიფოში მოქმედი "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" კანონის საფუძველზე.

პრობლემებში უკეთ გასარკვევად და შემდეგ მათ გადასაწყვეტად დამეხმარა საქართველოში მოქმედი კანონი "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ", რომელიც უზრუნველყოფს, საავტორო უფლებების დაცვას საქართველოში. კანონის თანახმად, საავტორო უფლება ვრცელდება როგორც გამოქვეყნებულ, ისე გამოუქვეყნებელ ნაშრომზე, რომელიც რაიმე ობიექტური ფორმით არსებობს.

საავტორო უფლებების და ინტელექტუალური საკუთრების დაცვას ნებისმიერ ქვეყანაში დიდ როლს ანიჭებენ. საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების დაცვა საერთაშორისო კონვენციებისა და ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად ხდება. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმოს) დამფუძნებელი კონვენციის წევრი საქართველო 1991 წელს გახდა, ხოლო ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის კონვენციის წევრია 1995 წლიდან. ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, სახელმწიფო ვალდებულია საავტორო უფლებების დაცვაზე იზრუნოს.

პრობლემებში უკეთ გასარკვევად და შემდეგ მათ გადასაწყვეტად ჩემს მიერ კვლევაში ასევე გამოყენებულია სასამართლო პრაქტიკის ანალიზი და შედარებითი სამართლებრივი მეთოდი. განსახილველ თემაზე მუშაობისას განვიხილეთ სხვადასხვა სახის საქართველოს კანონმდებლობასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურა. ნაშრომში განხილულია, როგორც ქართველი, ისე უცხოელი მეცნიერების მონოგრაფიები, სტატიები. საკვლევ ნაშრომში განხილულია ასევე არაერთი საერთაშორისო აქტი და სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობები, რომელიც ძალზედ საინტერესოდ წარმოაჩინს, თუ როგორაა გადაჭრილი ის პრობლემები, რომლებიც დღეისათვის ძალზედ აქტუალურია საავტორო უფლებებთან დაკავშირებით საქართველოში. რომელსაც გავეცანი საქართველოს კანონებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების კრებულში (თბ., 2008).

სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში გაანალიზებული ლიტერატურა გამოვიყენეთ თეორიულ ბაზად მოცემული ქვეთავების სახით.

გაბუნია დ, თაქთაქიშვილი გ, საერთაშორისო საავტორო სამართალი, წიგნი

1(ბერნის კონვენცია, რომის კონვენცია, TRIPS შეთანხმება, ანალიზი და კომენტარი (თბ., 2016), და წიგნი 2 საერთაშორისო საავტორო სამართალი, ისმო-ს ხელშეკრულება საავტორო უფლებების შესახებ, ისმო-ს ხელშეკრულება შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ: ანალიზი და კომენტარები, ასევე კორკელია კ, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, ლილუაშვილი თ, საერთაშორისო კერძო სამართალი (თბ., 2000), ძამუკაშვილი დავით, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, (თბ., 2002) და პარიზის კონვენცია, ბერნის კონვენცია, (თბ., 2000), ჯორბენაძე ს, საავტორო უფლებები ცხოვრებაში, (თბ., 2006). გარკვეული დახმარება გამინია ნაშრომზე მუშაობისას ჯორბენაძე ს, ინტელექტუალური საკუთრების განმარტებითი ლექსიკონმა ტერმინებში უკეთ გარკვევაში. სწორედ ეს სამეცნიერო ლიტერატურა გამოვიყენეთ ნაშრომის თეორიულ ბაზად, სწორედ მასზე დაყრდნობით ავაგეთ ნაშრომის საკვლევი საკითხებიც.

ყოველივე ზემოაღნიშნულის წარმოდგენის და გაანალიზების შედეგად, საინტერესოდ წარმოდგა ის ფაქტიც, რომ ჩვენი კანონმდებლობა მონესრიგებული და ჰარმონიზებულია ევროპულ კანონმდებლობასთან. საქართველოში არსებობს დაცვის ყველა ის მექანიზმი, რომელიც თანამედროვე მსოფლიოში მოქმედებს. საქართველოს კანონმდებლობაც ცდილობს მაქსიმალურად დაცული იყოს საავტორო უფლებები. საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ არეგულირებს იმ საავტორო ქონებრივ პირად არაქონებრივ უფლებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, რომელიც წარმოიშობა მეცნიერების, ლიტერატურის ნაწარმოებთა შექმნისა და გამოყენებისას. მიუხედავად ამისა საქართველოში ყოფილა შემთხვევა, როდესაც ადამინს გასჩენია პრეტენზია და განუცხადებია, რომ მისი საავტორო უფლებები დაირღვა. მიზეზად კი ასახელებენ, რომ საქართველოს, სამართლებრივი ზომები ამ საკითხთან დაკავშირებით, არ გააჩნია. რაც მიმაჩნია არა მართებულად, რადგა ნაშრომზე მუშაობის შედეგად დავრწმუნდი, რომ საავტორო უფლებებთან დაკავშირებით, რეალურად, მიზეზი არცოდნიდან უფრო გამომდინარეობს.

თავი II საავტორო უფლების არსი

2.1 ინტელექტუალური საკუთრების ცნება და მისი ისტორიული განვითარება

საავტორო სამართლის თანამედროვე შეხედულებამდე და პრინციპებამდე მისვლას ხანგრძლივი დრო და მწერალთა, მსახიობთა, მუსიკოსთა, სახვითი ხელოვნების დარგში მოღვაწე პროფესიონალები და იურისტ-მეცნიერთა დიდი ძალისხმევა დასჭირდა. სამართლის ამ სფეროში კანონმდებლობის შემოღებას ხანგრძლივი წინა ისტორია გააჩნია. საავტორო სამართლის განვითარება მჭიდროდ

იყო და არის დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელების ახალი ტექნოლოგიური საშუალებების შექმნასა და გამოყენებასთან.

ინტელექტუალური საკუთრება ადამიანის გონებრივ, შემოქმედებით საქმიანობას გულისხმობს, რაც აერთიანებს მეცნიერების, ტექნოლოგიების, წარმოების, ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროებს.

ინტელექტუალური საკუთრება შეადგენს იმ უფლებათა ერთობლიობას, რომელიც ასეთი ინტელექტუალურ საქმიანობის შედეგად წარმოიშობა. ეს უფლებები არ ეხება უშუალოდ მატერიალურ ობიექტებს, რომლებშიც განსახიერებულია შემოქმედებითი საქმიანობის შედეგი, მაგალითად: მოწყობილობა, რომელიც დამზადებულია გამოგონების საფუძველზე, ან წიგნი, რომელშიც დაბეჭდილია ლიტერატურული ნაწარმოები.

ინტელექტუალური საკუთრებაა და ვრცელდება მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის გონების ქმნილებებზე, რამდენადაც თავისი არსით ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები წარმოადგენენ ინფორმაციას, რომელიც გამოხატულია იდეის ან ფორმის სახით, შეუძლებელია მათ გამოყენებაზე უშუალო კონტროლის დაწესება და განხორციელება საკუთრების მატერიალური ფორმებისათვის მისაღები სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით.

ამის გამო, მსოფლიოში საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების წარმოშობისა და განხორციელების სპეციალური სამართლებრივი ნორმები და მექანიზმები, რომლებმაც ასახვა ჰპოვეს შესაბამის ეროვნულ საკანონმდებლო აქტებში, პირველი აქტები მე-15 საუკუნეში ვენეციაში მიიღეს, საერთაშორისო შეთანხმებებსა და კონვენციებში.¹ საერთაშორისო სამართალი და ეროვნული კანონმდებლობების უმრავლესობა არ იძლევა "ინტელექტუალური საკუთრების" რაიმე ფორმალურ დეფინიციას. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენციის თანახმად, "ინტელექტუალური საკუთრება მოიცავს უფლებებს,

¹ Intellectual Property, <http://www.sakpatenti.gov.ge/en/page/23/> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.04.2019

რომლებიც ეხება:

- ლიტერატურის, ხელოვნებისა და სამეცნიერო ნაწარმოებებს;
- მსახიობ-შემსრულებელთა გამოსვლებს, ფონოგრამებსა და საეთერო მაუნყებლობის პროგრამებს;
- გამოგონებებს ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში;
- მეცნიერულ აღმოჩენებს;
- სამრეწველო ნიმუშებს;
- სასაქონლო ნიშნებს, მომსახურების ნიშნებს, საფირმო სახელწოდებასა და კომერციულ აღნიშვნებს.
- არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთას და ყველა სხვა უფლებას, რომლებიც გამომდინარეობს ინტელექტუალური საქმიანობიდან მრეწველობის, მეცნიერების, ლიტერატურის ან ხელოვნების სფეროებში”.²

ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ზემოთ მოყვანილი ჩამონათვალიდან ტრადიციულად გამოყოფენ ორ სფეროს: სამრეწველო საკუთრებაზე უფლებებისა და საავტორო უფლებების დაცვას.

სამრეწველო საკუთრების ობიექტებია: გამოგონებები, სამრეწველო ნიმუშები, ინტეგრალური მიკროსქემები, სასაქონლო ნიშნები და გეოგრაფიული აღნიშვნები. გარდა ამისა, სამრეწველო საკუთრებაზე უფლებების დაცვის ერთ-ერთ სახეს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთაც წარმოადგენს.

საავტორო უფლება მოიცავს სამეცნიერო ნაშრომებს, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებს, როგორცაა, რომანები, ლექსები, პიესები, ფილმები, მუსიკა, ნახატები, ფერწერული ტილოები, ფოტოსურათები, ქანდაკებები, არქიტექტურული პროექტები და სხვ. საავტორო უფლებით დაცვას ექვემდებარება, აგრეთვე, გონებრივი შრომის პროდუქტი, როგორცაა, მაგალითად, კომპიუტერული პროგრამები და ელექტრონულ მონაცემთა ბაზები. საავტორო უფლებასთან დაკავშირებული უფლებებია ის უფლებები, რომლებიც გააჩნიათ

² ბერნის კონვენცია, სტოკჰოლმი, 1967 წლის 17 ივლისი, მუხლი 2 (8),

შემსრულებლებს საკუთარ შესრულებებზე, ფონოგრამების დამამზადებლებსა და სამაუნწყებლო კომპანიებს მათ რადიო და ტელეგადაცემების პროგრამებზე. მეცნიერული აღმოჩენები ინტელექტუალური საკუთრების ამ ორი სფეროდან არც ერთს არ მიეკუთვნება. არსებობს აზრი, რომ მეცნიერული აღმოჩენები საერთოდ არ უნდა ფიგურირებდეს ინტელექტუალური საკუთრების ფორმათა შორის, ვინაიდან არც ერთი ეროვნული კანონი ან საერთაშორისო ხელშეკრულება არ ანიჭებს მეცნიერულ აღმოჩენებზე საკუთრების უფლებას, თუმცა, რა თქმა უნდა, საყოველთაოდაა მიჩნეული, რომ მეცნიერული აღმოჩენა, რომელიც, ისმო-ს განმარტებით, არის ბუნების იმ მოვლენების, თვისებების ან კანონების შეცნობა და აღიარება, რომლებიც ადრე არ იყო ცნობილი, წარმოადგენს მეცნიერული ცოდნის ფუნდამენტს, რომლის საფუძველზეც ხდება მეცნიერების შემდგომი განვითარება და პიონერული გამოგონებების შექმნა.³

საკუთრების ნებისმიერი სხვა უფლების მსგავსად, ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებები შემოქმედს ან პატენტის, სასაქონლო ნიშნის თუ საავტორო უფლების მფლობელს შესაძლებლობას აძლევს, მიიღოს სარგებელი საკუთარი ნაშრომიდან ან ინვესტიციიდან. ამ უფლებათა ძირითადი პრინციპები მოცემულია ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის 27-ე მუხლში, რომელშიც განსაზღვრულია ნებისმიერი სამეცნიერო ნაშრომის, ლიტერატურული ან ხელოვნების ნაწარმოების ავტორობიდან გამომდინარე არაქონებრივი და ქონებრივი ინტერესების დაცვით სარგებლის მიღების უფლება.

საავტორო სამართლის ისტორიული სფუძვლები ძველ რომსა და საბერძნეთში იღებს სათავეს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნებში ინტელექტუალური საკუთრების დაცვა სამართლებრივად არ იყო ასახული, ცნობილი იყო ავტორთა უფლებების დაცვა პლაგიატისგან, რომელიც განიხილებოდა, როგორც უპატიოსნო ქმედება. პლაგიატობა ითვლებოდა ლიტერატურულ ქმედებად და მისი ჩამდენი პირი შესაბამისი ზომებით ისჯებოდა.

³ Intellectual Property, <http://www.sakpatenti.gov.ge/en/page/23/> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.04.2019

საავტორო უფლებების დაცვის იდეა დაკავშირებულია იოჰან გუტენბერგის მიერ 1450 წელს საბეჭდი მონოპოლიის გამოგონებასთან, რამაც შექმნა ტექსტებისა და ილუსტრაციების სწრაფად, დიდი რაოდენობით გამრავლებისა და გავრცელების შესაძლებლობა. ბეჭდვის ახალმა, მანამდე არნახულმა საშუალებებმა უმაღლესი ხელისუფალთათვის მიუღებელი ნაწარმოებების გავრცელების შეზღუდვისა და უკანონო ასლების დამამზადებელი კონკურენტებისაგან მბეჭდავების დაცვის პრობლემა.

ევროპაში მოკლე დროის განმავლობაში ჩამოყალიბდა შესაბამისი სამართლებრივი ინსტრუმენტები ცენზურის შემოღებისა და ბეჭდვის უფლებაზე პრივილეგიების დანესების სახით. პირველი პრივილეგიები გაიცა ვენეციაში. 1469 წელს ვენეციის სახელმწიფო საბჭომ მონოპოლიური უფლება მიანიჭა მბეჭდავ იოჰან შპეერს. შემდგომში, პრივილეგიების სისტემამ ფეხი მოიკიდა იტალიის სხვა სახელმწიფოებშიც და მის ფარგლებს გარეთაც, კერძოდ, ინგლისში, საფრანგეთსა და გერმანიაში.

პირველი პრაქტიკული ნაბიჯი ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დასაცავად ინგლისში გადაიდგა, როცა დედოფალმა ანამ 1710 წელს მიიღო პირველი კანონი საავტორო უფლებათა დაცვის სფეროში „განათლების განვითარების ხელშეწყობისა და ავტორებისა და წიგნების კანონზომიერად გაკეთებული ასლების მფლობელთათვის საკუთრების უფლების დაკანონების შესახებ“, რომელიც ნათლად გამოხატავდა კანონის დანიშნულებას და გამოყენების სფეროს. მისი ინიციატორები იყვნენ ლონდონელი წიგნის გამომცემლები. ეს კანონი (Copyright Act), ანას სტატუტით არის ცნობილი. ამ აქტის არსი გამოხატული იყო მის სათაურში „სწავლების მხარდაჭერა და უფლებამოსილ მფლობელთათვის ასლებზე საკუთრების უფლებათა დამაგრება.“⁴ ანას სტატუტში ჩამოყალიბებული იყო პრინციპები, რომლებმაც არსებითი გავლენა მოახდინა ამ სფეროში სამართლის განვითარებაზე ინგლისში, თანამედრობის ქვეყნებში, აშშ-სა და სხვაგან.

⁴ Intellectual Property, <http://www.sakpatenti.gov.ge/en/page/23/> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.04.2019

აღნიშნული აქტი მრავალმხრივ არის ღირსშესანიშნავი. პირველ ყოვლისა, კანონმა ავტორს მისცა თავისი წიგნების ბეჭდვის „ერთპიროვნული უფლება და თავისუფლება“. გამომცემლებს ამ უფლების მოპოვება მხოლოდ ავტორებისაგან ნებართვის მიღების გზით შეეძლოთ. მიიჩნევა, რომ 1710 წლის აქტი, საბოლოო ჯამში, გამომცემელთა სასარგებლოდ იქნა მიღებული, მაგრამ ფაქტია, რომ ანას სტატუტის თანახმად, ავტორი გახდა ნაწარმოების ბეჭდვის უფლების თავდაპირველი მფლობელი და მბეჭდავს ეს უფლება მისგან უნდა მოეპოვებინა.⁵

უცხოელ ავტორთა უფლებების აღიარება და დაცვა კი დაიწყო მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. ამ პერიოდისთვის ევროპის უმეტეს ქვეყანაში უკვე ჩამოყალიბებული იყო კაპიტალისტური ურთიერთობები. წარმოების სფეროში შეიქმნა ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოების ასახვის ეფექტიანი და იმ დროისთვის პროგრესული მეთოდები.

უნივერსიტეტების და ბიბლიოთეკების შექმნამ, წიგნით ვაჭრობის განვითარებამ, ევროპის ფარგლებში თავისუფალმა მიმოსვლამ და უცხო ენების შესწავლამ მყარი საფუძველი ჩაუყარა გამომცემლობითი საქმიანობის განვითარებას, რომელიც კაპიტალის დაბანდების მომგებიან სფეროდ იქცა, ინტელექტუალური შრომის ნაწარმოებები კი სრულად პასუხობდნენ საქონლის ყველა ნიშანს.

მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან საავტორო უფლების დაცვის იდეები გამოძახილს პოულობს სწრაფად განვითარებად ამერიკის კონტინენტზე. აშშ-ს კონსტიტუციის მიღებამდე, 1787 წელს, ფედერაციის თავდაპირველი 13 შტატიდან 12-მა მიიღო კანონები, რომელთა მიხედვითაც, ავტორებს ენიჭებოდათ თავიანთი ნაწარმოებების ბეჭდვის უფლება. მათგან პირველი იყო 1783 წელს კონექტიკუტში მიღებული კანონი. თავისი არსით, ეს კანონები ბრიტანეთის 1710 წლის აქტის მსგავსი იყო.

⁵ Deazley, Ronan, Rethinking Copyright, history, theory, language, Cornwall, Bodmin, 2006.

საავტორო სამართლის განვითარებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ. ავტორებს საფრანგეთში რევოლუციამდე არ ჰქონდათ კანონით დადგენილი რაიმე განსაკუთრებული უფლებები, რომლებიც ნაწარმოებების დაბეჭდვისა და შესრულების კონტროლის შესაძლებლობას მისცემდა მათ. ავტორთა ნაწარმოებების გამოყენება, სხვა ქვეყნების მსგავსად, ეფუძნებოდა სახელმწიფო პრივილეგიების სისტემას. ბეჭდვის უფლებები, ჩვეულებრივ, ენიჭებოდათ გამომცემლებს, შესრულების უფლებები კი თეატრის დირექტორებს. ავტორები იძულებულნი იყვნენ ანაზღაურება მიეღოთ ამ უფლებამფლობელებთან გაფორმებული კონტრაქტის გზით.

1789 წლის 26 აგვისტოს მიღებულ იქნა ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია, რომლითაც, სხვასთან ერთად, მოისპო ავტორთა ნაწარმოებების ბეჭდვისა და შესრულების პრივილეგიებისა და ლიცენზიების აღრინდელი სისტემები. ამ კანონებში აშკარაა ანას სტატუტისაგან განსხვავებული მიდგომა. საფრანგეთში ეს უფლებები აღწერილია, როგორც ავტორის უფლებები და გამოიყენება ავტორის სიცოცხლის მანძილზე, მიუხედავად გამოქვეყნებისა და ისეთი ფორმალობის დაცვისა, როგორცაა რეგისტრაცია.

მე-19 საუკუნის მანძილზე საფრანგეთის იურისპრუდენციაში შემუშავდა ავტორთა უფლებების ორი კატეგორია:

- ქონებრივი უფლებები (ნაწარმოებების კომერციული ან სხვა გამოყენების კონტროლის შესაძლებლობა) და
- პირადი არაქონებრივი უფლებები (ავტორად აღიარების და ნაწარმოების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფის შესაძლებლობა).

ქონებრივი უფლებები გამომდინარეობდა 1791 და 1793 წლების კანონებიდან. ეს უფლებები ჩამოყალიბდა როგორც შესრულების უფლება და რეპროდუცირების უფლება. პირადი არაქონებრივი უფლებები განვითარდა პრეცედენტული სამართალიდან და სწავლულთა ნაშრომებიდან. გერმანიის სახელმწიფოებში კანონები ბეჭდვითი საქმიანობის რეგულირების თაობაზე მიღებულ იქნა მე-18-19 საუკუნეებში.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საავტორო უფლებების შესახებ კანონებმა თავისი ადგილი დაიმკვიდრა, პრაქტიკულად, ყველა განვითარებული ქვეყნის სამართლებრივ სისტემებში. ამასთან, გამოიკვეთა ამ უფლებების დაცვაში კონცეპტუალურად განსხვავებული ორი მიდგომა: საერთო სამართლის ქვეყნებში დამკვიდრდა უფლებების დაცვის ე.წ. „კოპირაიტის“ სისტემა, რომელიც ეფუძნებოდა ანას სტატუტში ჩამოყალიბებულ პრინციპებსა და ნორმებს და საავტორო უფლებებს განიხილავდა, როგორც საკუთრების გარკვეულ ფორმას.⁶

სამოქალაქო სამართლის ქვეყნებში უპირატესობა მიენიჭა საფრანგეთში აღმოცენებულ იდეებსა და ისმო-ს ხელშეკრულება საავტორო უფლებების შესახებ ბერნის კონვენციის მიდგომებს, რომლებიც საავტორო უფლებებში, გარდა საკუთრების ფორმისა, ხედავდნენ ავტორის პიროვნულ გამოხატულებას, რაც ბუნებითი სამართლის ძალით მოითხოვდა ისეთივე დაცვას, როგორც ქონებრივი უფლებები.

ევროპის სხვა ქვეყნებში საავტორო სამართლის განვითარება ინგლისის მსგავსად წარიმართა, რაც გახდა საფუძველი წიგნის ბეჭდვისა და ამ სფეროში სავაჭრო საქმის განვითარებისა. ამ ფაქტმა განაპირობა ესოდენ გავრცელებული ლიტერატურული მეკობრეობის პრევენცია და მისი სამართლებრივად დარეგულირება.⁷

საქართველოში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსი შეიცავდა საავტორო სამართლის ნორმებს, რომელიც მე-4 კარად შედიოდა კოდექსში და 40 მუხლს აერთიანებდა.

1997 წელს მიღებული თანამედროვე სამოქალაქო კოდექსში ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, დღეისათვის, მხოლოდ საავტორო სამართლის ცნებას მიმოიხილავს. ამ სფეროს უფრო ფართო სამართლებრივ რეგულირებას გვაძლევს საქართველოს კანონები და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტები. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული

⁶ გაბუნია დ, საერთაშორისო საავტორო სამართალი, თბ., 2016

⁷ წიწავა ა, და სხვ., საავტორო უფლებები,

<http://legalclinic.iliauni.edu.ge/saavtoro-uphlebebi/> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.04.2019

ცენტრის (საქპატენტის) უშუალო მონაწილეობით მომზადდა და სამოქმედოდ იქნა მიღებული 30-მდე კანონი. მოქმედი კანონმდებლობა სრულ თანხვედრაშია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ყველა ძირითად კონვენციასა და შეთანხმებასთან.

2.2 საავტორო უფლება როგორც ინტელექტუალური საკუთრება

საქართველოში მოქმედი კონსტიტუციისა და სამოქალაქო კოდექსის მიღებამ მყარი საფუძველი ჩაუყარა ადამიანის შემოქმედებითი შრომის შედეგების სამართლებრივ დაცვას. ცნება „ინტელექტუალური საკუთრება“ დამკვიდრდა საკანონმდებლო ტერმინად.

თანამედროვე საზოგადოებაში საავტორო უფლების დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის დასტურია ის ფაქტი, რომ 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციამ იგი ადამიანის ერთ-ერთ განუხრელ უფლებად აღიარა. კერძოდ, დეკლარაციის 27-ე მუხლის მე-2 პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „ყოველ ადამიანს უფლება აქვს დაიცვას თავისი მორალური და მატერიალური ინტერესები, რომლებიც მისი ავტორობით შექმნილი მეცნიერული, ლიტერატურული და მხატვრული ნაშრომების შედეგს წარმოადგენს.“⁸

1966 წლის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-15 მუხლი თითქმის სიტყვა სიტყვით იმეორებს აღნიშნული „გარანტიის ფორმულირებას“, მაგრამ საყოველთაო დეკლარაციისაგან განსხვავებით, პაქტი აკისრებს ევროკავშირისა და აგრეთვე, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ყველა სახელმწიფოს არა მარტო მორალურ, არამედ იურიდიულ ვალდებულებასაც. კერძოდ, მე-15 მუხლის მე-2 პარაგრაფის თანახმად, „პაქტის მონაწილე სახელმწიფოებმა ამ უფლების სრული განხორციელებისათვის უნდა გაატარონ ღონისძიებანი, რომლებიც აუცილებელია მეცნიერებისა და კულტურის დაცვის, განვითარებისა და გავრცელებისათვის.“⁹

საავტორო უფლება წარმოადგენს ექსკლუზიური უფლებების ერთობლიობას,

⁸ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

<http://www.ungeorgia.ge/geo> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.04.2019

⁹ იქვე

რომელიც არეგულირებს კონკრეტული იდეის ან ინფორმაციის კუთვნილებას ავტორისათვის, რომლის ინტელექტუალური ან შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად შეიქმნა და უფლებას ამ იდეის ან ნაშრომის განკარგვასა და გამოყენებაზე. ძირითადად ეს შეეხება ისეთი ინტელექტუალური შრომით შექმნილ პროდუქტს, როგორცაა წიგნები, მუსიკალური ნაწარმოებები, სამხატვრო ნამუშევრები, კინოფილმები და ტექნოლოგიურ პროცესებთან დაკავშირებული ნაწარმოებები, ისეთები როგორცაა კომპიუტერული პროგრამები და ელექტრონული მონაცემთა ბაზები. უმეტეს შემთხვევაში საავტორო უფლების გამოყენების პერიოდი დროში შეზღუდულია.

საავტორო უფლება შეიძლება მოიცავდეს შემოქმედებითი, გამომგონებლობითი, ინტელექტუალური ან არტისტული ნაშრომების ან ქმნილებების ფართო სპექტრს. მათ შორის წიგნებს, ბროშურებს და ბუკლეტებს, ხელნაწერებს, პოემებს, დისერტაციებს და სამეცნიერო ნაშრომებს, მოხსენებებს, ლექციებს, დრამატულ ნაწარმოებებს, კინო და ფოტო ნაწარმოებებს, ქორეოგრაფიულ ნაშრომებს, მუსიკალურ კომპოზიციებს (მათ შორის სიმღერებს), აუდიო ჩანაწერებს, სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებს, სკულპტურებს და ქანდაკებებს, კომპიუტერულ პროგრამებს, რადიო და ტელე მაუწყებლობის გადაცემებს და პროექტებს, ილუსტრაციებს, რუქებს, გეგმებს და სხვა. ზოგიერთ ქვეყანაში საავტორო უფლება ვრცელდება სამრეწველო ნიმუშებზე. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა კი აწესებს სამართლებრივ შეზღუდვებს სავაჭრო ნიშნების და პატენტების გამოყენებაზეც. როგორც წესი, საავტორო უფლების მფლობელს რამდენიმე ექსკლუზიური უფლება გააჩნია:

- აწარმოოს საკუთარი საავტორო უფლების ობიექტი, მოახდინოს მისი კოპირება;
- მოახდინოს ექსპორტირება და იმპორტირება;
- ხელი შეუწყოს საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობას;
- გაყიდოს ან სხვა ფორმით გაასხვისოს საკუთარი საავტორო უფლება.

ტერმინი “ექსკლუზიური” ნიშნავს, რომ მხოლოდ საავტორო უფლების

მფლობელს შეუძლია სხვა დამატებითი უფლებების განხორციელება და სხვებს ეკრძალებათ მასთან შეთანხმების გარეშე იგივე ქმედებების განხორციელება. ხშირ შემთხვევაში, საავტორო უფლებებს “ნეგატიურ უფლებებს” უწოდებენ, ვინაიდან მისი მიზანია აუკრძალოს ადამიანებს, ვინც კითხულობს, ათვალიერებს, უსმენს ან უყურებს მისი სხვა მიზნებით გამოყენება.

ბევრი ქვეყნის საავტორო უფლებების მარეგულირებელი კანონმდებლობა ჰარმონიზებულია საერთაშორისო კონვენციის, ბერნის კონვენციის საფუძველზე და მათში ასახულია ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების და თანამეგობრობის პრინციპები, როგორცაა ევროკავშირი და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია.

საერთაშორისო სამართალში ეს ცნება მიღებულ ტერმინად იქცა 1967 წ. 14 ივლისს ხელმოწერილი ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დაფუძნების კონვენციის ძალით. აღნიშნული კონვენციის სათაურმა თავადვე დააკანონა ცნება „ინტელექტუალური საკუთრება,“ ხოლო მისმა მე-2(viii) მუხლმა განსაზღვრა მოცულობის ფარგლები.

დოკუმენტში ნათქვამია: „ინტელექტუალური საკუთრება მოიცავს უფლებებს, რომლებიც განეკუთვნება: ლიტერატურულ, მხატვრულ და სამეცნიერო ხასიათის ნაწარმოებებს, მსახიობთა საშემსრულებლო მოღვაწეობას, ხმის ჩანერას, რადიო და ტელე გადაცემებს, გამოგონებებს ადამიანის მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში, სამეცნიერო აღმოჩენებს, სამრეწველო ნიმუშებს, სასაქონლო ნიშნებს, მომსახურების ნიშნებს, საფირმო სახელწოდებებსა და კომერციულ აღნიშვნებს, არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვას, აგრეთვე ყველა სხვა უფლებას, რომლებიც სამრეწველო, სამეცნიერო, ლიტერატურულ ან მხატვრულ სფეროში ინტელექტუალურისაქმიანობის შედეგია.

საავტორო უფლებები ინტელექტუალურ უფლებათა კატეგორიას მიეკუთვნება. იგი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომის შედეგად შექმნილ ნაწარმოებებზე წარმოიშობა. საავტორო უფლებები დაცულია 1886 წლის „ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის“ ბერნის კონვენციით და საქართველოს კანონით „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, ეს კანონი

ერთმანეთისაგან მიჯნავს ავტორის ქონებრივსა და პირად არაქონებრივ უფლებებს.

საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, იცავს ავტორის პირად არაქონებრივ უფლებებს: ავტორობის, სახელის, ნაწარმოების ხელშეუხებლობის, რეპუტაციის პატივისცემის, ნაწარმოების გამოხმობის, ნაწარმოებზე სხვა ავტორთა ნაწარმოების დართვისა და ავტორის უფლებას გადაწყვიტოს როდის, სად და რა ფორმით გახადოს ცნობილი ნაწარმოების შექმნის ფაქტი.¹⁰ „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის მე-18 მუხლით რეგულირებულია ქონებრივი უფლებები ანუ ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის მიერ ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენების განსაკუთრებული უფლება. საქართველოს კანონის „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, კანონის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პირადი არაქონებრივი უფლებები ავტორს ეკუთვნის მისი ქონებრივი უფლებებისაგან დამოუკიდებლად და უნარჩუნდება ამ უფლებების დათმობის შემთხვევაშიც. ინტელექტუალური საკუთრების სამართალი ორ შტოდ იყოფა: საავტორო სამართალი და სამრეწველო საკუთრების სამართალი. ეს ორი შტო ერთმანეთისაგან უმთავრესად იმ ობიექტებით არის გამიჯნული, რომლებიც შეადგენენ საავტორო ან სამრეწველო საკუთრების დაცვის საგანს.¹¹

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები, ავტორის ქონებრივი უფლებებისაგან განსხვავებით, არ არის სამოქალაქო ბრუნვის ობიექტი. ეს უფლებები იმდენადაა დაკავშირებული პიროვნებასთან, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცული პირადი არაქონებრივი უფლებების მსგავსად, შეუძლებელია მათი გადაცემა. ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები პირად არაქონებრივ უფლებათა სისტემაში საკუთარ ადგილს იკავებს და „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონთან ერთად, სამოქალაქო კოდექსითაც რეგულირდება.

¹⁰ საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, მუხლი 17

¹¹ ქამუკაშვილი დავითი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თბ., 2002, გვ. 50

საავტორო უფლებათა ადგილს ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სისტემაში უფლებათა ობიექტები და სუბიექტი განაპირობებს.

ინტელექტუალური საკუთრების არც ერთ სხვა ობიექტზე არ ვრცელდება პირადი არაქონებრივი უფლებები იმ მასშტაბით, როგორც ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე. საავტორო სამართლის წინაშე დგას ამოცანა დადგინდეს საავტორო სამართლით ნაწარმოების დაცვითუნარიანობის კრიტერიუმი, რომელიც, ერთი მხრივ, არ იქნება ზედმეტად მკაცრი, რათა სამართლის წინაშე არ დადგეს გადაუჭრელი ამოცანა განსაზღვროს, რა არის “ნამდვილი შემოქმედება”, ხოლო მეორე მხრივ, არ უნდა იყოს ზედმეტად ფართო, რათა საავტორო სამართალი არ გასცდეს ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების ნაწარმოებზე უფლებათა დაცვას.

საავტორო უფლებათა სუბიექტები საავტორო უფლებათა სუბიექტის განსაზღვრის ორი მიდგომა არის ცნობილი იურიდიულ ლიტერატურაში. პირველი მიდგომა, რომელიც ინგლისურ-ამერიკული სამართლისათვის არის დამახასიათებელი, ეფუძნება Copyrigh-ის ფუძემდებლურ შეხედულებას და წარმოშობიდანვე უფლებათა მფლობელად აღიარებს, როგორც ფიზიკურ ისე იურიდიულ პირს. მეორე მიდგომა დამახასიათებელია კონტინენტური ევროპის სამართლისათვის და ეფუძნება le droit d’auteur-ის საავტორო უფლებათა სამართლებრივ პრინციპს, რომლის თანახმადაც საავტორო უფლებათა მფლობელი წარმოშობიდანვე, მხოლოდ ავტორი შეიძლება იყოს. აღნიშნული პრინციპის თანახმად, ნაწარმოები განიხილება ავტორის პიროვნულ გამოხატულებად იგულისხმება, რომ ავტორი საკუთარ „მეს“ აქსოვს ქმნილებაში და ამიტომ მხოლოდ ცალკეული პიროვნება (ფიზიკურ პირი) არის შემოქმედად აღიარებული და შესაბამისად, მხოლოდ მას შეიძლება ეკუთვნოდეს საავტორო უფლებები. ამდენად, კონტინენტური ევროპის სამართლის გენერალური პრინციპით საავტორო უფლებები არ შეიძლება იურიდიულ პირს ეკუთვნოდეს წარმოშობიდან. შესაბამისად, ფილმის დამდგმელი სტუდია ან სამაუწყებლო ორგანიზაცია წარმოშობიდან ვერ მოიპოვებენ საავტორო უფლებებს. ეს უფლებები მხოლოდ

ავტორმა შეიძლება დაუთმოს მათ უფლებათა გადაცემის გზით.

ბერნის კონვენცია საავტორო უფლებათა სუბიექტის საკითხს საგანგებოდ არ ეხება, მაგრამ მისი პირველივე მუხლი იძლევა საფუძველს, დავასკვნათ, რომ კონვენცია მისდევს le droit d'auteur-ის შეხედულებებს და მისი სულისკვეთებით არის შემუშავებული. კონვენციის აღნიშნული მუხლის რედაქცია შემდეგია: “ქვეყნები, რომლებსათვისაც მოქმედებს ეს კონვენცია, ქმნიან კავშირს ლიტერატურის, ხელოვნების ნაწარმოებების და ავტორთა უფლებების დასაცავად (The countries to which this convention applies constitute a Union for the protection of the rights of authors in their literary and artistic works).”¹² აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს საავტორო სამართალიც არ შეიცავს პირდაპირ ნორმებს, თუმცა მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ იგი კონტინენტური ევროპის სამართლის პრინციპებზეა აგებული და საავტორო უფლებათა სუბიექტს le droit d'auteur-ის მიხედვით განსაზღვრავს. ეს დასტურდება შემდეგით: სამოქალაქო კოდექსი აწესებს ცნებას „საავტორო სამართალი“ კანონის სათაურია „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“. აღნიშნული ადასტურებს, რომ საქართველოში პრინციპად ავტორთა უფლებების დაცვაა აღიარებული. საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის ადგენს: „საავტორო უფლება ნაწარმოებზე, რომელიც ერთობლივი შემოქმედებითი შრომის შედეგად შექმნა ორმა ან მეტმა პირმა (თანაავტორობა) ერთობლივად ეკუთვნით თანაავტორებს...”¹³ აქედანაც ნათლად ჩანს, რომ საავტორო უფლების ფლობის პრეროგატივა ავტორს (თანაავტორებს) ეკუთვნის.¹⁴

ხაზი გვინდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ ავტორად და შესაბამისად საავტორო უფლებათა მფლობელად, უპირველესად, მიიჩნევა ის პირი, ვინც საკუთარი შემოქმედებითი სული ჩააქსოვა ნაწარმოებში. ამასთან, აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ იურიდიული პირი საერთოდ არ შეიძლება იყოს საავტორო უფლებათა

¹² Adeney, Elizabeth, *The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis*, Oxford University press, USA, 2006

¹³ საქ. კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, მუხლი 11

¹⁴ Deazley, Ronan, *Rethinking Copyright, history, theory, language*, Cornwall, Bodmin, 2006

სუბიექტი მათი წარმოშობის მომენტიდან.

საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის მე-14 მუხლი აღგვს: „ენციკლოპედიების, ენციკლოპედიური ლექსიკონების, მეცნიერული ნაშრომების, პერიოდული და ერთმანეთის გამგრძელებელი კრებულების, გაზეთების, ჟურნალებისა და სხვა პერიოდული გამოცემის გამომცემლებს ეკუთვნით ამ გამოცემაში შესულ ნაწარმოებთა გამოყენების განსაკუთრებული უფლება. გამომცემელს უფლება აქვს ასეთ ნაწარმოებთა ნებისმიერი სახით გამოყენებისას მიუთითოს თავისი სახელი ან მოითხოვოს მისი მითითება“¹⁵ როგორც ვხედავთ, მოცემულ შემთხვევაში საავტორო უფლებათა ნაწილი უფლება გამოყენებაზე, თავდაპირველადვე ეკუთვნის გამომცემელს, რომელიც უმეტეს შემთხვევაში იურიდიული პირი იქნება. მასვე ეკუთვნის ავტორობის უფლების განცხადების ერთ-ერთი ატრიბუტიკა, აღნიშნოს ნაწარმოებზე საკუთარი სახელი ან მოითხოვოს ასეთი აღნიშვნა. გარდა გადმოცემულისა, ზოგიერთი ქვეყნის კანონით (მაგალითად, საფრანგეთი) იურიდიულ პირს საავტორო უფლება შეიძლება ეკუთვნოდეს ისეთ შემთხვევაში, როდესაც ნაწარმოები დამქირავებლის (დამკვეთის) პირდაპირი დავალებით კოლექტივმა შექმნა და ვერ ირკვევა კონკრეტულად იმ პირის, ან პირთა ვინაობა, რომლებიც შეიძლება იყვნენ ავტორად აღიარებული. საკითხის ამგვარად მოწესრიგების შესაძლებლობა ეხმიანება გამოჩენილი ქართველი მეცნიერის ბატონ სერგო ჯორბენაძის აზრს, რომელიც გადმოგვცემს: „სინამდვილეში, განხილვის პროცესში, კამათისა და კოლეგათა შორის დიალოგის დროს იდეა განიცდის ისეთ დამუშავებას, მოთელვას, რომ ხშირად ძნელი ხდება თვალის დევნება მისი თანდათანობითი ფორმირებისათვის, მისი პირვანდელი სახით გამოვლენა და, გამომდინარე ნათქვამიდან, იდეის კონკრეტულად იმ პირისადმი მიკუთვნება, რომელმაც პირველად წარმოაჩინა იგი“¹⁶. აქედან გამომდინარე მართებული იქნება დავასკვნათ, რომ ასეთ შემთხვევაში საავტორო უფლება შეიძლება ეკუთვნოდეს კოლექტივის ყველა წევრს ან სამუშაოს დამკვეთს.

¹⁵ საქ. კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, მუხლი, 14

¹⁶ ჯორბენაძე ს, საავტორო უფლებები ცხოვრებაში, თბ., 2006

საბოლოოდ თუ შევაჯამებთ ყოველივე აღნიშნულს, შევნიშნავთ, რომ le droit d'auteur-ის პრინციპების შესაბამისად, რასაც ბერნის კონვენციასა და კონტინენტური ევროპის სამართლის სხვა ქვეყნებთან ერთად საქართველოს საავტორო სამართალიც იზიარებს, საავტორო უფლებათა სუბიექტი შეიძლება იყოს ნაწარმოების ავტორი ფიზიკური პირი და გამონაკლის შემთხვევაში იურიდიული პირი. ამასთან, ავტორად მხოლოდ ის პირი მიიჩნევა, ვინც შემოქმედებითი წვლილი შეიტანა ნაწარმოების შექმნაში. ის პირი, ვინც მონაწილეობდა, მაგალითად, ბეჭდავდა, რედაქციას უკეთებდა ტექსტს, ან სხვა სახის ტექნიკური ხასიათის დავალებას ასრულებდა, ავტორად (თანაავტორად) არ მიიჩნევა. როდესაც საავტორო უფლებათა სუბიექტად იურიდიული პირი გვევლინება, მას მხოლოდ ქონებრივი უფლებები ეკუთვნის და ზოგიერთი არაქონებრივი უფლება, ანუ იურიდიული პირი, როგორც საავტორო უფლებათა სუბიექტი, ავტორობის უფლებას ვერ შეიძენს.

რაც შეეხება დაცვის ობიექტებს, ბერნის კონვენციის დაცვის ობიექტებს შეადგენს „ლიტერატურისა და ხელოვნების“ ნაწარმოებები. გამოთქმა „ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებები“ მოიცავს ყველა ნამუშევარს ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების სფეროში, მისი გამოხატვის ხერხისა და ფორმის მიუხედავად, როგორცაა წიგნები, ბროშურები და სხვა წერილობითი ნაწარმოებები; ლექციები, მიმართვები, ქადაგებები და ამავე ხასიათის სხვა ნაწარმოებები; დრამატული ან მუსიკალურდრამატული ნაწარმოებები; ქორეოგრაფიული ნაწარმოებები და პანტომიმები; მუსიკალური ნაწარმოები ტექსტით ან ტექსტის გარეშე; კინემატოგრაფიული ნაწარმოებები, რომლებთანაც არის გათანაბრებული კინემატოგრაფიის ანალოგიური საშუალებებით გამოხატული ნაწარმოებები; ნახატები, ფერწერული, არქიტექტურული, სკულპტურული ნაწარმოებები, გრაფიურა და ლითოგრაფია; ფოტოგრაფიული ნაწარმოებები, რომლებთანაც გათანაბრებულია ფოტოგრაფიის ანალოგიური საშუალებებით გამოხატული ნაწარმოებები; გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები; ილუსტრაციები, გეოგრაფიული რუკები, გეგმები, ესკიზები და სამგანზომილებიანი

ნაწარმოებები, რომლებიც განეკუთვნება გეოგრაფიას, ტოპოგრაფიას, არქიტექტურას ან მეცნიერებას.¹⁷

და ბოლოს, ნებისმიერი სახელმწიფო ცდილობს ისევე დაიცვას თავისი მოქალაქეების შემოქმედებითი ღირებულებები, როგორც იცავს მათ სხვა კერძო საკუთრებას. სახელმწიფო ხელმძღვანელობს იმ მოსაზრებით, რომ კულტურული ღირებულებების შექმნა და კულტურის განვითარება დამოკიდებულია მათი დაცვის რეალური მექანიზმების ფუნქციონირებაზე.

2.3 საავტორო უფლებების დაცვის საერთაშორისო რეგულირება

საავტორო უფლებების დაცვის სფეროში მრავალი საერთაშორისო შეთანხმება და კონვენცია მოქმედებს. საავტორო უფლების შესახებ კანონები ეფუძნება ამ სფეროში არსებულ ძირითად საერთაშორისო ხელშეკრულებებს. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანია ბერნის კონვენცია ლიტერატურისა და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ და მსოფლიო კონვენცია საავტორო უფლებების დაცვის შესახებ. ეს კონვენციები უნივერსალური შეთანხმებებია და მათი წევრი ქვეყნებისათვის წარმოადგენენ საავტორო უფლების შესახებ კანონის საერთაშორისო საკანონმდებლო საფუძველს. საკუთარი კანონმდებლობის შემუშავებისას წევრ ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ საავტორო უფლების დაცვის სტანდარტები. ამ კონვენციებში ჩამოყალიბებულ პრინციპებს ეყრდნობა ევროკავშირის დირექტივებიც.

დღეისათვის ბერნის კონვენციის წევრ სახელმწიფოდ ითვლება 163 (2007 წლის მდგომარეობით) ქვეყანა. საქართველო ხელშეკრულებას 1995 წლის 16 მაისს შეუერთდა. კონვენციით საავტორო უფლების დაცვის ვადა ყველა ნამუშევარზე (ფოტო და კინო ნამუშევრის გარდა) გრძელდება ავტორის გარდაცვალების შემდეგ 50 წლის განმავლობაში მაინც, მაგრამ წევრ ქვეყნებს აქვთ უფლება ამ ვადის

¹⁷საქ. კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, მუხლი 11 მუხლი 2(1)

გაზრდის. ასე, მაგალითად, ევროკავშირის 1993 წლის დირექტივით ევროპის ტერიტორიაზე ეს ვადა გაიზარდა 70 წლამდე. ფოტო ნამუშევრებისათვის დაწესებულია 25 წლიანი ვადა (შექმნის წლიდან), ხოლო კინო ნამუშევრებისათვის 50 წელი პირველი ჩვენებიდან, ან 50 წელი შექმნის მომენტიდან, თუ პირველი ჩვენება მოხდა შექმნიდან 50 წლის განმავლობაში. ქვეყნებს აქვთ უფლება დააწესონ დაცვის საკუთარი ვადები და გარკვეული ნამუშევრებისათვის (აუდიო და ვიდეოჩანაწერებისათვის) შესაძლებელია დაწესდეს უფრო ხანმოკლე ვადებიც.

1886 წლის ბერნის კონვენციამ პირველმა მოახდინა საავტორო უფლებების აღიარება საერთაშორისო დონეზე. კონვენციის შესაბამისად, აუცილებელი არაა შემოქმედებით საქმიანობაზე (მათ შორის გამომგონებლობით) საავტორო უფლების დამტკიცება და გაცხადება, ვინაიდან მსგავსი ნაშრომის შექმნის ან საქმიანობის განხორციელების მომენტიდან მასზე საავტორო უფლება ავტომატურად ძალაში შესულად ითვლება. ავტორის არ სჭირდება მისი დარეგისტრირება ან კონვენციას მიერთებულ ქვეყნებში მისი აღიარების და დამტკიცების მოთხოვნა.¹⁸

დიდი ბრიტანეთი კონვენციას შეუერთდა 1887 წელს, მაგრამ 100 წლის განმავლობაში კონვენციის მოთხოვნების დიდი ნაწილი არ შეუსრულებია. დიდ ბრიტანეთში 1988 წელს მიღებული იქნა საავტორო უფლების, სამრეწველო ნიმუშების და პატენტების აქტი, რის შესაბამისადაც აღიარებული იქნა კონვენციის ძირითადი პრინციპები. ამერიკის შეერთებული შტატები კი კონვენციას 1989 წელს შეუერთდა. საქართველო კონვენციას შეუერთდა 1994 წელს. 1994 წლის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმება ვაჭრობასა და ინტელექტუალურ საკუთრებაზე (World Trade Organization's Agreement on Trade Related Aspects of Intellectual Property Rights (TRIPS) მოიცავს ბერნის კონვენციის რეგულაციებს, რამაც პრაქტიკულად ბერნის კონვენციის მოთხოვნები მსოფლიო მასშტაბით კიდევ უფრო

¹⁸ გაბუნია დ, თაქთაქიშვილი გ, საერთაშორისო საავტორო სამართალი, წიგნი 1: ბერნის კონვენცია, რომის კონვენცია, TRIPS შეთანხმება: ანალიზი და კომენტ., თბ., 2016

გამოყენებადი გახადა.¹⁹ შეთანხმებამ დააწესა ინტელექტუალური საკუთრების რამდენიმე ფორმის მინიმალური მოთხოვნები.

შეთანხმება გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობას. კერძოდ, კანონმდებლობაში ასახული უნდა იყოს საავტორო უფლებების მფლობელი პირების თუ ორგანიზაციების უფლებები, მათ შორის ხმის ჩამწერი და ტელე მაუწყებლობის ორგანიზაციების უფლებები. გარდა ამისა, კანონმდებლობა უნდა არეგულირებდეს გეოგრაფიულ აღნიშვნებს, სამრეწველო ნიშნებს, პატენტებს, სავაჭრო ნიშნებს და კონფიდენციალურ ინფორმაციას. შეთანხმებაში ასევე მოცემულია სამართლებრივი საკითხები, დავების განხილვის პროცედურა და სხვა. შეიძლება ითქვას, რომ TRIPS -მა საერთაშორისო სავაჭრო სისტემაში დანერგა კანონმდებლობა ინტელექტუალური საკუთრების შესახებ და ამ მიმართულებით დღესაც უმნიშვნელოვანეს შეთანხმებას წარმოადგენს. შეთანხმება ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს უზრუნველყონ ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მექანიზმები. მაგალითად, შეთანხმების

შესაბამისად:

- საავტორო უფლების პერიოდი უნდა გრძელდებოდეს ავტორის გარდაცვალებიდან 50 წლის განმავლობაში. ამასთან, კინო და ფოტო ნაწარმოებებს გააჩნიათ ფიქსირებული, შესაბამისად 50 და 25 წლიანი პერიოდი;
- საავტორო უფლების მინიჭება უნდა ხდებოდეს ავტომატურად, რეგისტრაციის და სხვა ფორმალუბების გარეშე;
- კომპიუტერული პროგრამები უნდა განიხილებოდეს ლიტერატურული ნაშრომების მსგავსად და დაცვის იგივე გარანტიები უნდა მიენიჭოს;
- პატენტი უნდა ვრცელდებოდეს ტექნოლოგიების ყველა სფეროში და

¹⁹ Adeney, Elizabeth, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006.

უნდა მოიცავდეს 20 წლიან პერიოდს.²⁰

ბუნებრივია, რომ საქართველო, როგორც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი, აღნიშნულ კონვენციაზეც მიერთებულია. საავტორო უფლებების უნივერსალური კონვენცია (The Universal Copyright Convention (or UCC) მიღებული იქნა 1952 წელს ჟენევაში. შეთანხმება მომზადებული იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის მიერ, როგორც ბერნის კონვენციის ალტერნატივა ძირითადად იმ ქვეყნებისთვის (განვითარებადი და სოციალისტური სახელმწიფოები, აშშ და ლათინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყანა), რომელთაც უარი თქვეს ბერნის კონვენციაზე მიერთებაზე, მაგრამ გააჩნიათ სურვილი ჩართული იყვნენ საავტორო უფლებების რეგულირების მრავალმხრივ საერთაშორისო ფორმატში. ამ დროისათვის აშშ და ლათინური ამერიკის ქვეყნები საავტორო უფლებების პანამერიკული კონვენციის წევრები იყვნენ, მაგრამ ეს კონვენცია გაცილებით სუსტია ვიდრე ბერნის კონვენცია. “შემსრულებლების, ფონოგრამების დამამზადებლების და მაუნუფაქტურების

ორგანიზაციების უფლებათა დაცვის შესახებ” რომის კონვენცია მიღებული იქნა 1961 წელს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების მიერ. კონვენცია იცავს ხელოვანთა (მსახიობები, მომღერლები, მუსიკოსები, მოცეკვავეები და სხვა) საავტორო უფლებებს ტელე და რადიო მაუნუფაქტურაში, საჯარო გადაცემებში და სხვა. გარდა ამისა, ფონოგრამის დამამზადებლებს (ჩანაწერების მწარმოებლებს) ენიჭებათ უფლება აკრძალონ საკუთარი ჩანაწერების პირდაპირი ან არაპირდაპირი გამოყენება. ხოლო ტელე და რადიო მაუნუფაქტურის ორგანიზაციებს ენიჭებათ უფლება მოახდინონ საკუთარი გადაცემების, ან პროექტების ავტორიზაცია. აღნიშნულ კონვენციას საქართველო შეუერთდა 2004 წელს. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის 1996 წლის ხელშეკრულება “სავტორო უფლებების შესახებ”. ისევე როგორც რომის

²⁰ კორკელია კ, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბ., 2012

კონვენცია, ხელშეკრულება იცავს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ხელოვნებს (მსახიობებს, მომღერლებს, მუსიკოსებს) და ფონოგრამების დამამზადებლებს და ანიჭებს მათ უფლებას რათა მოახდინონ საკუთარი ნამუშევრების რეპროდუქცია, დისტრიბუცია, გასხვისება და საჯარო წარდგენა.

თავი III ავტორის ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები

3.1 ავტორის პირადი არაქონებრივი (მორალური) უფლებები

საავტორო უფლებები ორ კატეგორიად იყოფა, ესენია: პირადი არაქონებრივი (მორალური) უფლებები და ქონებრივი უფლებები და საავტორო უფლებათა ერთიანი სისტემის შემადგენელი ნაწილია, თუმცა ამ უფლებათა შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა უფლებათა რეგულირებისა და დაცვის, დროსა და სივრცეში მოქმედებისა და სუბიექტების თვალსაზრისით.

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების სრულფასოვანი ანალიზისათვის მნიშვნელოვანია ამ უფლებათა განხილვა არა მხოლოდ პირად არაქონებრივი

უფლებათა სისტემაში, არამედ ინტელექტუალურ საკუთრებასთან და ავტორის ქონებრივ უფლებებთან ურთიერთკავშირში, უფლებათა ობიექტის თავისებურების გათვალისწინებით.²¹

პირადი არაქონებრივი (მორალური) უფლებები და მისი დაცვა კონტინენტური ევროპის სამართალმა დაამკვიდრა, რაზედაც დიდი გავლენა იქონია გამოჩენილი ფილოსოფოსის ემანუელ კანტის შეხედულებებმა.

პირადი არაქონებრივი უფლებები ნაწარმოების ავტორის კუთვნილებას წარმოადგენს. ცნობილია, ამ უფლებების გერმანელი იურისტ-მეცნიერის ადოლფ დიცის კლასიფიკაცია, რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება:

- ავტორობის უფლება (უფლება ნაწარმოების ავტორად გამოცხადებასა და ავტორობის მოთხოვნაზე);
 - უფლება ნაწარმოების მთლიანობის დაურღვევლობაზე;
 - უფლება ნაწარმოების გამოქვეყნებაზე, მათ შორის გამოცემაზე;
- უფლება ნაწარმოების გამოთხოვაზე (სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებაზე).²²

ჩამოთვლილი უფლებები ქონებრივისაგან დამოუკიდებელია (მათი გამოყენების თვალსაზრისით) და შეიძლება განხორციელდეს იმის შემდეგაც, რაც საავტორო ქონებრივი უფლებები ამოიწურა ან ავტორი გარდაიცვალა. ბერნის კონვენციის მუხლი 6 bis „არაქონებრივი უფლებები:

- ავტორად აღიარების მოთხოვნა; შედავება გარკვეულ ცვლილებებსა და სხვა დამრღვევ ქმედებებთან დაკავშირებით;
- ავტორის გარდაცვალების შემდეგ;
- ზიანის ანაზღაურების საშუალებები.“²³

ავტორობის უფლება კი საერთოდ, მარადიული უფლებაა და ყველაზე მნიშვნელოვან უფლებად უნდა იქნეს განხილული. უფლებათა მოცემული ჩამონათვალი უფრო დანვრილებით არის კლასიფიცირებული „საქართველოს

²¹ საჯაია ლ., ატორის პირადი არაქონებრივი უფლებები, თბ., თსუ, 2014

²² ბერნის კონვენცია, ლიტ. და მხატ. ნაწარმოებების დაცვის შესახებ, მუხლი 6

საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლით, რომლის მიხედვითაც პირად არაქონებრივ უფლებებს განეკუთვნება:²⁴

1. ავტორობის უფლება;
2. სახელის უფლება;
3. ნაწარმოების პირველად გამოქვეყნების უფლება;
4. ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება, ანუ ავტორის უფლება, ნება დართოს სხვა პირს შეიტანოს ცვლილებები, როგორც თვით ნაწარმოებში, ისე მის სახელწოდებასა (სათაურში) და ავტორის სახელში, აგრეთვე, წინ აღუდგეს მისი თანხმობის გარეშე ნაწარმოებში ცვლილებების შეტანას;
5. რეპუტაციის პატივისცემის უფლება, ანუ უფლება დაიცვას ნაწარმოები ყოველგვარი დამახინჯებისაგან ან სხვაგვარი ხელყოფისაგან, რომელმაც შეიძლება შელახოს ავტორის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია; ტივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია;
6. უფლება, მისცეს ნებართვა თავისი ნაწარმოებისათვის სხვა ავტორთა ნაწარმოების დართვისა (ილუსტრაცია, წინასიტყვაობა, ბოლოსიტყვაობა, კომენტარი, განმარტება და ა.შ.);
7. ნაწარმოების გამოხმობის უფლება, ანუ უფლება მოითხოვოს ნაწარმოების გამოყენების შეწყვეტა.²⁵

ბერნის კონვენციის მე-6 მუხლი ადგენს შესაძლო შემზღუდვას გარკვეული ნაწარმოებების მიმართ იმ გარკვეული ქვეყნების მოქალაქეთათვის, რომლებიც არ შედიან კავშირში: 1. პირველი გამოქვეყნების ქვეყანაში და სხვა ქვეყნებში; 2. უკუძალის არარსებობა;²⁶

ავტორობის უფლება პირადი არაქონებრივი უფლებების ზემოთ მოყვანილი ორივე კლასიფიკაცია პირველ ადგილს ავტორობის უფლებას უთმობს. სხვაგვარი მიდგომა გაუგებარი იქნებოდა, რადგან ავტორი და მხოლოდ ავტორი არის

²⁴ „საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ მუხლი 17

²⁵ საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, მუხლი 17

²⁶ ბერნის კონვენცია, ლიტ. და მხატ. ნაწარმოებების დაცვის შესახებ;

საავტორო სამართლის ცენტრალური ფიგურა.²⁷ ყველა სახის საავტორო უფლება ავტორთან დაკავშირებით წარმოიშობა და მას ეკუთვნის დასაბამიდან. ავტორობა არის ის ფაქტი, რაც საწყისი წყაროა როგორც საავტორო პირადი არაქონებრივი უფლებებისა, ისე განსაკუთრებული (ქონებრივი) უფლებებისა. მიუხედავად იმისა, რომ ავტორისა და შესაბამისად ავტორობის უფლების გარეშე არ შეიძლება არც ერთი საავტორო უფლება არსებობდეს. ავტორობის უფლება შეიძლება ერთ ან მეტ პირს ეკუთვნოდეს, თუ ნაწარმოები რამდენიმე პირის მიერ არის შექმნილი. ამასთან, თუ ნაწარმოები შექმნილია ერთობლივი შემოქმედებითი შრომის შედეგად მაშინ საქმე თანაავტორობასთან გვაქვს. ასეთ შემთხვევაში ნაწარმოები და შესაბამისად მისგან გამომდინარე უფლება თითოეულ თანაავტორს თანაბრად ეკუთვნის. აღნიშნულიდან გამომდინარე თანაავტორებმა უნდა მოილაპარაკონ როგორ გამოიყენებენ საავტორო უფლებებს. მაგალითად, გარკვეულ მომენტამდე, ნაწარმოების გამოქვეყნების სურვილი შეიძლება რომელიმე თანაავტორს არ ჰქონდეს, ხოლო დანარჩენებს პირიქით გადაუდებელ ამოცანად მიაჩნდეთ. თუ თანაავტორები ერთმანეთში ვერ მოილაპარაკებენ საკითხის სამართლიანი გადაწყვეტა პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება. ასეთივე ვითარებაა ნაწარმოების გამოყენებასთან დაკავშირებით, რადგან ავტორს თავისი შეხედულებით შეუძლია მოეპყროს საკუთარ ინტელექტუალურ პროდუქტს.

ავტორობის უფლება პირდაპირ არის დაკავშირებული ავტორის სახელის გამოყენებასთან. ავტორს უფლება აქვს ნაწარმოებზე აღნიშნოს საკუთარი სახელი ან მოითხოვოს მისი სახელის აღნიშვნა, რაც ავტორობის საჯაროდ გამოცხადებას ნიშნავს. ის, რომ ავტორს საავტორო სამართალი ანიჭებს საკუთარი სახელის გამოყენების უფლებას (ავტორობის აღსანიშნავად), დამატებით განმარტებას არ მოითხოვოს მოითხოვს. თუ ამ უფლების რეალიზაციისას ავტორს რაიმე დაბრკოლება შეექმნა, ან თუ ავტორობის დადასტურება გახდა საჭირო, მაშინ მას

²⁷ ძამუკაშვილი დავითი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თბ., 2002, გვ. 50

შეუძლია მიმართოს სასამართლოს, მათ შორის სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლზე დაყრდნობით. მნიშვნელოვანია ავტორის უფლება მისი სახელის ავტორობის აღსანიშნავად გამოყენების აკრძალვის თაობაზე. რა თქმა უნდა, ავტორს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა წინ აღუდგეს ნაწარმოებზე მისი სახელის გამოყენებას, როდესაც ის საჭიროდ ჩათვლის, განსაკუთრებით თუ ისეთ ნაწარმოებზე მიეთითება მისი სახელი, რომელთანაც მას კავშირი არ აქვს. აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითად გამოდგება, ინგლისის სამოსამართლო პრაქტიკის ერთ-ერთი შემთხვევა. 1816 წელს ლორდმა ბაირონმა სასამართლოს წინაშე წააყენა მოთხოვნა მისი სახელი მოეცილებინათ უკვე გამოქვეყნებული ზოგიერთი ლექსისაგან, რომელთა ავტორობას მას აწერდნენ. სასამართლომ ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა. ფაქტობრივად ბაირონმა ავტორობის უფლება დაიცვა და უარი თქვა ნაწარმოების იმ ნაწილის ავტორობაზე, რომელიც მას არ შეუქმნია. ავტორობის უფლება განუსხვისებელი, მარადიული უფლებაა.²⁸

სახელის უფლება მორალურ უფლებათა რიცხვიდან, თავისი მნიშვნელობით ავტორობის უფლების ტოლფასად შეიძლება იქნეს განხილული. ეს უფლება განუსხვისებელ უფლებას წარმოადგენს და სხვა პირს ვერ გადაეცემა. სახელის უფლების შინაარსი გულისხმობს ავტორის უფლებას ნაწარმოებზე (ეგზემპლარზე) მიუთითოს საკუთარი სახელი ან მის ნაცვლად ფსევდონიმი. ასეთი მითითების უფლება ავტორს გააჩნია საჯარო შესრულების დროსაც. ამ უფლების განხორციელება შეუძლია თავად ავტორს, ამასთან, მას უფლება აქვს სხვა პირს მოსთხოვოს ფსევდონიმის (nom de plume) მითითება მისი სამოქალაქო სახელის ნაცვლად. სახელის უფლება ავტორს შესაძლებლობას აძლევს გარკვეულ ხანს საზოგადოებრიობისათვის უცნობად დარჩეს, ანუ მას შეუძლია საერთოდ უარი თქვას სახელის გამოქვეყნებაზე და იგივე მოითხოვოს ნებისმიერი სხვა პირისაგან. ავტორს, ცხადია, უფლება აქვს აუკრძალოს სხვა პირებს მისი ფსევდონიმის გამოყენება. მაგალითად, ავსტრალიაში, ახალი სამხრეთ უელსის უმაღლესმა სასამართლომ

²⁸ დამუკაშვილი დავითი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თბ., 2002, გვ. 52

დააკმაყოფილა ერთ-ერთი გაზეთის ყოფილი ჟურნალისტის მოთხოვნა აღნიშნულ გაზეთის სხვა ჟურნალისტს შეეწყვიტა მისი ფსევდონიმით სტატიების გამოქვეყნება. სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ჟურნალისტმა მოასწრო ამ ფსევდონიმით საქმიანი რეპუტაციის შექმნა. აქედან გამომდინარე, თუ ამ ფსევდონიმით სხვა პირი განაგრძობდა საქმიანობას, ის არამართლზომიერად ისარგებლებდა ფსევდონიმის უკვე დამკვიდრებული რეპუტაციით.²⁹ სახელის გამოყენების უფლებას ინგლისური სამართალი საერთო სამართლის ნორმებით იცავს.³⁰

კანონმდებლები მიჩნევენ, რომ ნებისმიერ პირს შეუძლია სხვას აუკრძალოს მისი სახელის გამოყენება ნებისმიერი ფორმით. ამასთან, აუცილებელი არ არის, რომ მოცემული პირი რაიმე ნაწარმოების ავტორი იყოს. ეს შეხედულება მართებულად მიგვაჩნია, მაგრამ აღვნიშნავთ, რომ კონტინენტური ევროპის სამართალი, მათ შორის საქართველოსი, საშუალებას იძლევა გაძლიერდეს სახელის უფლების დაცვა და სრულიადაც არ იკრძალება საავტორო სამართლის ნორმებთან ერთად, ან მის პარალელურად, სამოქალაქო სამართლის სხვა შესაბამისი ნორმების გამოყენება.

ნაწარმოების გამოქვეყნების უფლება მხოლოდ ავტორს გააჩნია საკუთარი შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს, გამოაქვეყნოს ნაწარმოები თუ არა. ავტორი წყვეტს აგრეთვე საკითხს თუ რა სახითა და ფორმით უნდა გამოქვეყნდეს მისი ქმნილება. ნაწარმოების გამოქვეყნების უფლება პირად არაქონებრივ უფლებად არის მიჩნეული, მაგრამ როგორც სხვა უფლებები, რომლებიც მორალურ უფლებებს განეკუთვნება, მჭიდროდ უკავშირდება ქონებრივ უფლებებს. ნაწარმოების გამოქვეყნების უფლება ავტორს საშუალებას აძლევს თავად განახორციელოს (ან სხვა პირს დართოს ნება) ისეთი ქმედებები, რაც პირველად გახდის ხელმისაწვდომს ნაწარმოებს საყოველთაოდ გაცნობისათვის, მისი გამოცემის, საჯარო გადაცემის,

²⁹ ქამუკაშვილი დავითი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თბ., 2002, გვ. 52

³⁰ Adusei, Poku, Modern challenges to moral rights protection under copyright law: the way forward, Edmonton, Alberta, 2005.

საჯარო ჩვენების და სხვა გზით.

გამოქვეყნების უფლების სუბიექტი, ავტორის გარდა, შეიძლება მომიჯნავე უფლებათა მფლობელი იყოს. უნდა აღინიშნოს, რომ ნაწარმოების გამოქვეყნების უფლებასთან პირდაპირ კავშირშია გამოცემის უფლება. ამ უფლების თანახმად ავტორს (ან მომიჯნავე უფლებათა მფლობელს) შეუძლია ნება დართოს ან აუკრძალოს მესამე პირს ეგზემპლარების გამოშვება და გავრცელება ისეთი რაოდენობით, რომ დაკმაყოფილდეს საზოგადოებრიობის მოთხოვნილება. გამოშვება და გავრცელება გულისხმობს გაყიდვას, გაქირავებას, ან ნაწარმოების ეგზემპლარებზე საკუთრების სხვაგვარ გადაცემას. ნაწარმოები შეიძლება მიქირავდეს ისეთ დანესებულებებს, რომლებიც საჯარო მომსახურებას ეწევა, მაგალითად ბიბლიოთეკებს. მათი ვალდებულებაა ნაწარმოების ორიგინალის ან სხვა ეგზემპლარის შენახვა და გამოყენება გარკვეული ვადის განმავლობაში, არაკომერციული მიზნებისათვის. ასეთი გაქირავება საჯარო გაქირავებად არის ცნობილი.

ნაწარმოების შინაარსის წინასწარი გამოქვეყნება საავტორო ან მომიჯნავე უფლებების მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ დაუშვებელია. მაგალითად, აკრძალულია ჟურნალ-გაზეთებში დანვრილებითი შინაარსის გამოქვეყნება ისეთი თეატრალური დადგმის შესახებ, რომლის პრემიერაც (პირველი საჯარო ჩვენება) ჯერ არ შემდგარა. უფლება ნაწარმოების მთლიანობაზე პროფესორ დიცის კლასიფიკაციის ამ უფლებას საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის ჩამონათვლის მე-4, მე-5 და მე-6 პოზიციები ემთხვევა.

საქართველოს კანონი საავტორო უფლების შესახებ ანესებს ბერნის კონვენციის მე-6 ბის მუხლის შესაბამის ნორმას, რომელიც ავტორს ანიჭებს უფლებას წინ აღუდგეს მისი ნაწარმოების დამახინჯებას, სხვაგვარ მოდიფიკაციას ან შინაარსის დაკნინებას (შელახვას). ეს უფლება ემყარება ავტორის პატივისა და რეპუტაციის დაცვას. დაუშვებლად არის მიჩნეული მესამე პირთა ისეთი ქმედება, რამაც შეიძლება ავტორის პატივი ან ღირსება შეზღუდოს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საავტორო სამართალი უფრო კონკრეტულად და დანვრილებით გადმოსცემს

მოცემული მორალური უფლების შინაარსს, ვიდრე ბერნის კონვენცია და ისმოს მიერ შემუშავებული სანიმუშო კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ.³¹ ამავე დროს, საქართველოს საავტორო სამართლის მიხედვით ამ უფლების შინაარსი მთლიანად შეესაბამება მეცნიერულ ლიტერატურაში არსებულ განმარტებებსა და შეხედულებებს. ავტორს შეუძლია შეენიშნოს ნაწარმოების მთლიანობის ნებისმიერ დარღვევას, როგორც შინაარსობრივი, ასევე ფორმის ერთიანობის დარღვევის თვალსაზრისით. მაგალითად, ინგლისში 1917- 1923 წწ განხილულ იქნა საქმე „მოსლი სტენლი ჰოლისა და კომპანიის წინააღმდეგ“, რის შედეგადაც დაკმაყოფილდა მოსარჩელეს მოთხოვნა მისი ნაწარმოების გარეკანის დამახინჯების დაუშვებლობაზე. ხელოვნების ნაწარმოების შემთხვევაში მხოლოდ მაშინ შეუძლია ავტორს წინ აღუდგეს თავისი უფლებების დარღვევას, თუ ცვლილება მატერიალური ფორმით არის გამოხატული ისე, რომ ნაწარმოების ხასიათსა და ხელოვანის რეპუტაციაზე ახდენდეს გავლენას. ასევე, თუ საქმე გვაქვს ტექნიკურ (არქიტექტურულ) ნახაზთან ან სქემასთან, ხოლო მასში ცვლილებების შეტანის შემდეგ ის გამოქვეყნდა ავტორთან შეთანხმების გარეშე. მოცემულ შემთხვევებში დასადგენი იქნება დაირღვა თუ არა ავტორის ქონებრივი ან მორალური უფლებები. გასარკვევი იქნება რამდენად არსებითი ცვლილება მოხდა ტექნიკურად და რამდენად იცვლება მოცემული ნაწარმოების სტილი და შინაარსი. თუ, მიუხედავად შეტანილი ცვლილებებისა ავტორი მისეული სტილით შეიძლება იქნეს ამოცნობილი, ანუ ორიგინალური ნაწარმოების სტილი იქნა შენარჩუნებული, მაშინ, ალბათ, ავტორის უფლებათა დარღვევა (ნაწარმოების მთლიანობის დარღვევის თვალსაზრისით) ვერ დაფიქსირდება.³² აღნიშნული დარღვევების გამოვლენა საავტორო სამართლის ობიექტების მიხედვით გარკვეული სირთულეებით ხასიათდება. კომპიუტერული პროგრამების შემთხვევაში არსებითი ცვლილებების შეფასებითი კრიტერიუმები კიდევ უფრო მეტი თავისებურებების მქონეა და

³¹ ძამუკაშვილი დავითი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თბ., 2002, გვ. 52

³² იქვე, გვ. 55

სპეციალისტისთვისაც კი არც თუ იოლი შესაფასებელი და დასადგენია.

ნაწარმოების გამომხმობის უფლება ამ უფლების არაქონებრივი შინაარსი ნათელია და, როგორც წესი, ერთგვარად გადმოიცემა იურიდიულ ლიტერატურაში. მთავარი ის არის, რომ მხოლოდ ავტორს აქვს უფლება შეწყვიტოს ნაწარმოების გამოქვეყნება ან გავრცელება. ეს მაშინ შეიძლება მოხდეს, როდესაც ავტორი თავის აზრს შეიცვლის და მოისურვებს ნაწარმოების დახვეწას ან გაფართოებას, ან შემცირებას და ა.შ. თუ ავტორი გადაწყვეტს გამომხმობის უფლების გამოყენებას, მაშინ, ხარჯები, მათ შორის გამოცემისა, მანვე უნდა აანაზღაუროს. გამომხმობის უფლების შესახებ ავტორმა საჯაროდ უნდა გამოაცხადოს. ინგლისის ადრეული სამოსამართლო პრაქტიკიდან ცნობილია შემთხვევა (სოუფი შერვუდის წინააღმდეგ), როდესაც 21 წლის ავტორმა დაუთმო უფლება გამომცემელს. ამ უკანასკნელმა წიგნი 23 წლის შემდეგ გამოსცა.³³ ავტორმა აღძრა სარჩელი იმ მოტივით, რომ გამომცემელს წიგნი გონივრულ ვადაში უნდა გამოეცა და არა ასეთი დიდი ღრის გასვლის შემდეგ, და რომ მას სიჭაბუკის წლების გასვლასთან ერთად სრულიად შეეცვალა შეხედულებები, რის გამოც წიგნის გამოცემამ ზიანი მოუტანა მის სახელსა და რეპუტაციას. მოსამართლე ლორდმა ელდონმა განაცხადა, რომ თუ ავტორი, რომელმაც ნაწარმოები შექმნა, განიცდის სინანულის გრძნობას თავისი ნაწარმოების უდროო ღრის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, მაშინ მას უნდა ჰქონდეს უფლება არ დაუშვას ასეთი ნაწარმოების გამოქვეყნება, ან გამოქვეყნებული ნაწარმოების გავრცელება. მოსამართლის ეს აზრი საფუძვლად დაედო შემდგომში ამ უფლების დაკანონებას. პირად არაქონებრივ უფლებათა რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე დაშვების უფლება.

³³ Drahos, Peter, The Universality of IP Rights: origins and development, Intellectual Property and Human Rights. A Panel Discussion of Human Rights, WIPO publication No. 762(E) 1999

3. 2 ავტორის ქონებრივი უფლებები

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები მჭიდრო კავშირშია ქონებრივ უფლებებთან. ორივე კატეგორიის უფლებები ერთი და იმავე ობიექტის შექმნის შედეგად წარმოიშობა, რაც მათ შორის მჭიდრო კავშირის მიზეზია. ავტორის ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებათა შორის მჭიდრო კავშირს შემდეგი ფაქტორები განაპირობებს: ავტორის ქონებრივი უფლებების განხორციელება პირდაპირაა დამოკიდებული ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების ამოქმედებაზე.³⁴

ინტელექტუალური საკუთრება საქართველოს კონსტიტუციით არის დაცული, მასზე უფლებები ხელშეუხებელია. კონსტიტუციის ასეთი დებულებით ქონებრივი უფლებები ინტელექტუალურ საკუთრებაზე ნივთზე საკუთრების უფლებებთან არის გათანაბრებული.

ბერნის კონვენციის „ლიტერატული და მხატვრული ნაწარმოების დაცვის შესახებ“ კანონის თანახმად ქონებრივი საავტორო უფლებები განსაკუთრებული უფლებებია და აბსოლუტური ხასიათისაა. ეს იმას ნიშნავს, რომ მესამე პირებს აკისრიათ ვალდებულება თავი შეიკავონ და არ დაუშვან ინტელექტუალურ საკუთრებითი, მათ შორის საავტორო უფლებების დარღვევა.

საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საავტორო განსაკუთრებული უფლებების ამომწურავ ჩამონათვალს იძლევა. დაწესებულია, რომ ნაწარმოების ავტორს ან საავტორო უფლებათა სხვა მფლობელს აქვს ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლება ნებისმიერი ფორმითა და საშუალებით. აქვე განმარტებულია, რომ გამოყენების

³⁴ საჯაია ლ., ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები, თბ., თსუ, 2014, გვ. 46

განსაკუთრებული უფლება ავტორს აძლევს საშუალებას, თავისი ნებითა და სურვილით გადანაცვლოს ვინ, როგორ, როდის და ა.შ. გამოიყენებს მის ნაწარმოებს. ავტორს თავად შეუძლია გამოიყენოს ნაწარმოები ისე, რომ სხვას ეს უფლება არ მისცეს და მხოლოდ თავადვე ისარგებლოს გამოყენების შედეგითა და ნაყოფით. ასევე ავტორი უფლებამოსილია ნაწარმოების გამოყენების უფლება სხვა პირს დაუთმოს. უფლებების დათმობა მას შეუძლია მთლიანად, ან ნაწილობრივ, დროებით ან მუდმივად. ავტორს განსაკუთრებული უფლებების მფლობელს, შეუძლია ნებისმიერ მესამე პირს აუკრძალოს ნაწარმოების გამოყენება მასთან შეთანხმების გარეშე. ყოველივე აღნიშნული იმაზე მეტყველებს, რომ განსაკუთრებული უფლებები ინტელექტუალურ საკუთრებაზე, თავისი შინაარსით, ძალზე ახლოს დგას ნივთზე საკუთრებასთან, შესაბამისად, განსაკუთრებული უფლებები საავტორო სამართლის ობიექტებზე (იგივე ითქმის სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე) პრაქტიკულად, თუმცა მაინც პირობითად, გათანაბრებულია ჩვეულებრივად გაგებულ საკუთრების უფლებებთან.

საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის მე-18 მუხლის თანახმად ავტორს, ან უფლებების სხვა მფლობელს, შემდეგი განსაკუთრებული უფლებები გააჩნია

- რეპროდუცირების უფლება
- გავრცელების უფლება
- იმპორტის უფლება
- საჯარო ჩვენების უფლება
- საჯარო შესრულების უფლება
- საჯარო გადაცემის უფლება
- ეთერში გადაცემის უფლება
- კაბელით გადაცემის უფლება
- თარგმნის უფლება
- გადამუშავების უფლება³⁵

³⁵ ძამუკაშვილი დ, ინტელექტუალური

გარდა ამისა, დაწესებულია: გაქირავების განსაკუთრებული უფლება; არქიტექტურული პროექტების პრაქტიკული რეალიზაციის განსაკუთრებული უფლება; გარდა აღნიშნულისა, ავტორს აქვს უფლება ნაწარმოების პირველად გასხვისების შემდეგ მისი ხელახლა საჯაროდ გაყიდვის შემთხვევაში მოითხოვოს დადგენილი ოდენობის ჰონორარი. ამ უფლებას უცხოურ ლიტერატურაში სპეციალური (ფრანგული) ტერმინით *droit de suite*, შეიძლება დავამკვიდროთ ქართული სპეციალური ტერმინი, მაგალითად „ნაწარმოების თანმიდევნების უფლება“. უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ჩამოთვლილი უფლებების შინაარსი. თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს საავტორო სამართლით მოცემული განსაკუთრებული უფლებების ნაირსახეობა მთლიანად ეთანხმება თანამედროვე საავტორო სამართლის ნორმებს, ამიტომ ამ უფლებების შინაარსის განხილვისას საქართველოს კანონმდებლობასთან ერთად ვეყრდნობით საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს საავტორო სამართალი განსაკუთრებულ უფლებებს ნაწარმოების გამოყენებასთან დაკავშირებით მოიხსენიებს პასუხი უნდა გაეცეს კითხვას რას ნიშნავს ნაწარმოების გამოყენება. ჩვეულებრივად, ნაწარმოების გამოყენება გულისხმობს მის პირველად გამოცემას, მათ შორის:

- ელექტრონულ სისტემებში ჩართვას; ,
- კოპირებას (ნაწარმოების ასლების სახით გამრავლება);
- ნაწარმოების საჯაროდ შესრულებას;
- ნაწარმოების ხმოვანი ჩანაწერის გაკეთებას
- ნაწარმოების მოძრავი სურათებით გამოხატვას
- ფილმის გადაღებას;
- ნაწარმოების გადაცემას ტელე ან რადიომაუწყებლობის საშუალებებით;
- ნაწარმოების თარგმნას;

- ნაწარმოების ადაპტაციას;
- ნაწარმოების გასხვისებას ან მასზე სხვაგვარად უფლებების გადაცემას;
- ნაწარმოების გაქირავებას და ა.შ.

რეპროდუქციების უფლება საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ ნაწარმოების გამოყენების შინაარსს არასაკმარისად გადმოსცემს. საკითხის სრულად გაშუქებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია შევეხოთ გამოყენების ერთ-ერთი სახის რეპროდუქციების განმარტებას, რადგან მასზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული თუ რა ფარგლებში აქვს ძალა ავტორის ამ განსაკუთრებულ უფლებას. სიტყვა `რეპროდუქცირება` ლათინური წარმომავლობისაა და პირდაპირი გაგებით ხელახლა წარმოებას, ანუ კვლავწარმოებას ნიშნავს (RE ხელახლა, Production ვაწარმოებ).³⁶ ნაწარმოების ორიგინალის ასლების ტიპოგრაფიული კვლავწარმოება რეპროდუქციებას წარმოადგენს. ასევე, სურათის, ნახატის, ნაბეჭდი ტექსტის და ა.შ. ხელახალი ასლების გადაღება და გამრავლება ფოტოგრაფიული ან პოლიგრაფიული საშუალებებით რეპროდუქციების კიდევ ერთი გამოვლენაა.³⁷ ამ ტერმინს ისმოს სანიმუშო კანონიც განმარტავს. მის თანახმად რეპროდუქცირება არის ნაწარმოების ან ფონოგრამის ნებისმიერი მატერიალური ფორმით დამზადება ერთი ან მეტი ეგზემპლარის ოდენობით. ფონოგრამა შეიძლება იყოს წარმოდგენილი მხოლოდ ხმის ჩანაწერის ან ვიდეოჩანაწერის სახით. გარდა ამისა, რეპროდუქციებად ითვლება ნაწარმოების ჩანერა ელექტრონულ (ციფრულის ჩათვლით), ოპტიკურ ან სხვა მანქანურად წასაკითხი საშუალებებით. ამასთან, ამგვარი ჩანერა შეიძლება იყოს განხორციელებული დროებითი ან მუდმივი შენახვისათვის. როგორც ვხედავთ, რეპროდუქციების შინაარსი გამოიხატება ნებისმიერი საშუალებებით ორიგინალური ნაწარმოების ასლის დამზადებით ერთი ან მეტი ეგზემპლარის რაოდენობით, მათ შორის ელექტრონული ფორმით. რეპროდუქციების უფლების მნიშვნელოვანი

³⁶ Fishman, Stephen, The Copyright Handbook How to protect & Use Written works, USA, 2003

³⁷ ძამუკაშვილი დავით, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თბ., 2002, გვ. 59

მხარეა ნაწარმოების ავტორის მიერ სხვა პირებისათვის მისი თანხმობის გარეშე ასლების დამზადების აკრძალვის შესაძლებლობა. რეპროდუქცირებას როგორც წესი ახორციელებს გამომცემელი, მას პირდაპირი დაინტერესება გააჩნია, ჰქონდეს სხვა პირისათვის იგივე ქმედების აკრძალვის უფლება.

მსოფლიოში გავრცელებული პრაქტიკით, ავტორი რეპროდუქცირების განსაკუთრებულ უფლებას, უმეტესწილად, გამომცემელს უთმობს, რაც ამ ორ სუბიექტს შორის ხელშეკრულების დადების მთავარ იურიდიულ საფუძველს წარმოადგენს. საქართველოს საავტორო სამართლის მიხედვით ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ ნაწარმოების გამოცემა, რეპროდუქცირება და გამოქვეყნება.

ჩვენების, საჯარო გადაცემის ან სხვა გზით, მათ შორის ნაწარმოების გამოცემის მეშვეობით. მაშასადამე, გამოცემა ნაწარმოების გამოქვეყნების ერთ-ერთი საშუალება არის. რეპროდუქცირებული ნაწარმოები გამოქვეყნებულად შეიძლება ჩაითვალოს იმ დღიდან, როდესაც ნებისმიერ პირს მიეცემა შესაძლებლობა დაუბრკოლებლად გაეცნოს მას, მაგალითად, ბიბლიოთეკის მეშვეობით ან სხვაგვარად.

გამოცემა კი ნიშნავს ნაწარმოების ეგზემპლარების იმდენი რაოდენობით რეპროდუქცირებას, რაც დააკმაყოფილებს საზოგადოების გონივრულ მოთხოვნილებას. გამოცემა შეიძლება განხორციელდეს გაყიდვის, გაქირავების და ეგზემპლარებზე საკუთრების სხვაგვარად

გადაცემის მიზნით. როგორც ვხედავთ, გამოცემისას უნდა არსებობდეს საკუთრების გადაცემის ფაქტი, ან მსურველის მიერ ნაწარმოების ეგზემპლარების შეძენის დაუბრკოლებრივი შესაძლებლობა. გამოცემა შეიძლება განხორციელდეს ინფორმაციის ელექტრონულ სისტემათა გლობალურ ან ლოკალურ (მაგალითად, ერთი ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებში) ქსელში ჩართვით. ელექტრონული სისტემებით გამოცემის მაგალითია ნაწარმოების ინტერნეტის ქსელში ჩართვა.

უნდა აღინიშნოს, რომ რეპროდუქცირებისას მზადდება ნაწარმოების იმდენი ეგზემპლარი, რამდენიც გამოქვეყნების ან გამოცემის მიზნებისათვის იქნება საკმარისი. თუ რეპროდუქცირების მიზანი გამოქვეყნებაა, მაშინ უნდა დამზადდეს

საჯაროდ გაცნობისათვის ნაწარმოების ეგზემპლარების გონივრულად საკმარისი რაოდენობა, რომელიც ერთეულებით ან ათეულებითაც შეიძლება შემოიფარგლოს. გამოცემის მიზნით რეპროდუქციებისას კი უნდა დაკმაყოფილდეს საზოგადოების მოთხოვნილება, რამაც შეიძლება ასეულობით ან ათასეულობით ეგზემპლარების რაოდენობა მოითხოვოს. ამრიგად, გამოცემა ნაწარმოების სამოქალაქო ბრუნვაში გაშვებას ანუ გავრცელებას გულისხმობს.

ყოველივე ნათქვამს თუ გავითვალისწინებთ, ირკვევა, რომ ნაწარმოების რეპროდუქციების განსაკუთრებული უფლება ვრცელდება სხვადასხვა მიზნით მისი ორიგინალის ასლების დამზადებაზე. განხილული უფლება სხვა განსაკუთრებული უფლების მსგავსად, ნაწარმოების გამოყენებაზე შეიძლება დამოუკიდებლად განხორციელდეს. ანუ ავტორს შეუძლია თანხმობა მისცეს გამომცემელს ან სხვა პირს მხოლოდ გამოცემაზე თარგმნის შესრულების, ან გადამუშავების და სხვა უფლებების გამოკლებით.

ხმოვანი ნაწარმოების ჩართვა აუდიოვიზუალურ ნაწარმოებში, მათ შორის გამოსახულებასთან სინქრონიზაციის მიზნით წარმოადგენს საავტორო, კერძოდ, რეპროდუქციების უფლებით დაცული ნაწარმოების კოპირებას. ასეთი კოპირების უფლებას რეპროდუქციების უფლებების შემადგენელ „სინქრონიზაციის უფლებად“ იცნობენ საავტორო სამართლის მეცნიერ-სპეციალისტები. ფონოჩანანერის დამზადების უფლება ლიტერატურაში მოიხსენიება „მექანიკურ უფლებად.“

გავრცელების უფლება ნაწარმოების გავრცელების განსაკუთრებული უფლება ავტორს აძლევს შესაძლებლობას კონტროლი გაუწიოს (აკრძალვის ჩათვლით) რეპროდუქციებული ნაწარმოების გავრცელებას, ავტორთან იგულისხმება საავტორო უფლებათა სხვა მფლობელიც. შეუძლია აკრძალოს ნაწარმოების ორიგინალის ან მისი ასლების გაყიდვა, გაქირავება ან სამოქალაქო ბრუნვაში სხვა გზით ჩართვა, მათ შორის დისტრიბუტორობა.

ნაწარმოების ეგზემპლარების გავრცელება ემსახურება საზოგადოების მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და, ამდენად, ეს მნიშვნელოვანი უფლებაა. ამ უფლების წყალობით წესრიგდება ბაზრის მდგომარეობა შესაბამისი საქმიანობით

დაკავებული სუბიექტების ინტერესებისა და უფლებების გათვალისწინებით. გავრცელების უფლება გარკვეულწილად თანხვედრია რეპროდუქციების უფლებისა და ხშირად გადაეცემა გამომცემელს, რომელიც ყველაზე მეტად არის დაინტერესებული მის მიერ კვლავნარმოებული ეგზემპლარების რაც შეიძლება მეტი ოდენობითა და მონესრიგებულად გავრცელებით.

იმპორტის უფლება იმპორტის განხორციელება ხდება გავრცელების მიზნით და უშუალოდ არის დაკავშირებული გავრცელების უფლების მქონე პირის ნება-სურვილზე. იმპორტის უფლების საზღვრები შესაბამის სუბიექტებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე დგინდება.

საავტორო განსაკუთრებულ უფლებათა მფლობელი ხელშეკრულების დადების მსურველ მეორე მხარეს ქვეყანაში შემოსატან ეგზემპლარების ოდენობასთან ერთად სხვა პირობებზეც ურიგდება. იმპორტის უფლების საზღვრების განსჯისას ყურადღება უნდა მიექცეს იმ საკითხს, ვრცელდება თუ არა საავტორო განსაკუთრებული უფლების მქონე პირის უფლება იმპორტის აკრძალვაზე, როდესაც გავრცელების უფლება ერთ პირზეა გაცემული, ხოლო იმპორტს სხვა პირი ახორციელებს.

გაერთიანებული ევროპის სამოსამართლო პრაქტიკამ დაადგინა, რომ, თუ ნაწარმოების მართლმომიერი გავრცელება მოხდა საერთო ბაზრის რომელიმე ქვეყანაში, მაშინ საავტორო უფლებათა მფლობელი ვეღარ აკრძალავს სამოქალაქო ბრუნვაში ჩართულ ნაწარმოების შემდგომ გავრცელებას, იმპორტის ჩათვლით. განსაკუთრებულ უფლებათა ასეთ შემზღუდავს ინტელექტუალური საკუთრების სამართალი „უფლებათა ამონურვის პრინციპად“ ასახელებს და ეს პრინციპი ვრცელდება როგორც საავტორო, ისე სამრეწველო საკუთრების პრაქტიკულად ყველა ობიექტზე. აღნიშნული პრინციპის შესაფერისი ნორმა გათვალისწინებულია საქართველოს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონით და კეთილსინდისიერი მენარმეობისა და ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობას ემსახურება.

საჯარო ჩვენების უფლება ნაწარმოების გამოყენების ეს განსაკუთრებული

უფლება, „საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის თანახმად, მოიცავს ორიგინალის ან მისი ასლის დემონსტრაციას უშუალოდ, ან ეკრანზე ფირის, სლაიდის ან სხვა საშუალების მეშვეობით. დემონსტრირებული შეიძლება იქნეს ნებისმიერი ისეთი ნაწარმოები, რომლის ჩვენება შესაძლებელია, მათ შორის შესრულება, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემა, ვიდეოგრამა და სხვ. ამასთან, საჯარო ჩვენების აქტი მაშინ გვექნება, როდესაც ნაწარმოების დემონსტრირება ხდება ისეთ ადგილზე, სადაც ესწრებიან ან შეიძლება ესწრებოდნენ პირები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ავტორის ან შემსრულებლის, ან განსაკუთრებული უფლებების სხვა მფლობელის ოჯახის წევრების ჩვეულებრივ წრეს, ან ოჯახის ახლობელთა პირებს. საჯარო ჩვენების უფლება ვრცელდება დემონსტრირებაზე, მიუხედავად იმისა, ოჯახის წევრები ან ახლობლები ერთ ადგილას არიან თავმოყრილნი და ერთდროულად აღიქვამენ დემონსტრაციას, თუ სხვადასხვა ადგილებზე იმყოფებიან და სხვადასხვა დროს აღიქვამენ მას. საჯარო ჩვენების ნათელი მაგალითია ნაწარმოების გამოფენაზე გამოტანა და თუ იმავდროულად გაყიდვაც ხდება, მაშინ ნაწარმოების გავრცელებასთან გვაქვს საქმე. აუდიოვიზუალური ნაწარმოების საჯარო ჩვენებად ჩაითვლება, მაგალითად, ნაწარმოების ნაწილების ჩვენება განლაგების თანამიმდევრობის დაუცველად, მაგალითად, ვიდეოგრამის ცალკეული გამოსახულებებისა. ნაწარმოების საჯარო შესრულების უფლება ზემოთ განხილული საჯარო ჩვენების უფლებისაგან განსხვავებით, უფლება საჯარო შესრულებაზე ვრცელდება არა ნაწარმოების ორიგინალის ან მისი ასლის ეგზემპლარის დემონსტრირებაზე, არამედ იმგვარი ნაწარმოების წარმოდგენაზე, რომელიც სრულდება სიმღერის, ცეკვის, თამაშობის, დეკლამაციის (ნაწარმოების მხატვრული კითხვა) სახით. ამასთან, წარმოდგენილი შეიძლება იყოს ნებისმიერი ისეთი ნაწარმოები, რომელიც სანახაობრივად წარმოჩენას ექვემდებარება, კერძოდ, მხატვრული ნაწარმოები, ვიდეოგრამა, ფონოგრამა, შესრულება, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემა. ნაწარმოები შეიძლება იქნეს წარდგენილი, როგორც ცოცხალი შესრულებით, ისე ნებისმიერი სახის მაუწყებლობისა და პროცესების მეშვეობით. წარდგენა უნდა

ხორციელდებოდეს ისეთ ადგილებში, სადაც ესწრებიან ან შეიძლება ესწრებოდნენ პირები, რომლებიც შემსრულებლის ოჯახს ან ამ ოჯახის ახლობელთა წრეს არ მიეკუთვნებიან. გარდა ამისა, საჯარო ჩვენების უფლებისაგან განსხვავებით, საჯარო შესრულების უფლება ვრცელდება აუდიოვიზუალური ნაწარმოების ისეთ წარმოდგენაზე, რომლის დროსაც ეწყობა, მაგალითად, ვიდეოგრამის გამოსახულებების თანამიმდევრობითი ჩვენება, ამასთან, ხმოვანი თანხლება სავალდებულო არ არის. აუდიოვიზუალური ნაწარმოების განმარტება მოცემულია საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ.³⁸

საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონში მოცემული ჩამონათვალის მიხედვით, განხილულის მომდევნო განასაკუთრებული უფლებები ეთერში გადაცემისა და კაბელით გადაცემის უფლება, საჯარო გადაცემის უფლების კერძო შემთხვევებია. ისინი შინაარსობრივად არც კი განსხვავდებიან. აღსანიშნავი მხოლოდ ის არის, რომ ერთ შემთხვევაში გადაცემა რადიოდა ტელეტრანსლაციის მეშვეობით ხორციელდება, ხოლო მეორე შემთხვევაში კაბელის ან სხვა ანალოგიური ტექნიკური საშუალების მეშვეობით.

ნაწარმოების თარგმნის უფლება თარგმანი წარმოებულ ნაწარმოებად განიხილება და ამასთანავე, იმ ნაწარმოებისაგან დამოუკიდებლადაც, რომელსაც ის ემყარება. საზოგადოდ, როგორც ნაწარმოები, ორიგინალური ნაწარმოები და მისი თარგმანი ტოლფასად უნდა განიხილებოდეს. მაგრამ „ტოლფასობის“ მიღწევა ხშირად ძნელდება, ხოლო ზოგ შემთხვევაში ვერც კი ხერხდება. ცნობილია გამონათქვამი, რომ კანონი არ ითარგმნება. ასევე ძალზე ძნელია ყველა თავისებური თვითმყოფადობის გადმოცემა ლიტერატურული ნაწარმოების, კერძოდ პოეზიის თარგმნისას. ყოველივე აღნიშნული სირთულე ობიექტურ გარემოებებთან არის დაკავშირებული. თარგმანი ხომ ნაწარმოების ერთი ენიდან მეორე ენით გამოხატვასთან არის დაკავშირებული, ხოლო ყოველ ენას თავისებური ნიუანსები და მისთვის დამახასიათებელი სიტყვათა მარაგის ან სხვაგვარი (მაგ.: ემოციური

³⁸ საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, მუხლი 4 (ბ) მუხლში.

ფონის გადმოცემის უნარი) სიმდიდრე ან სიღარიბე გააჩნია, რის გამოც ყოველთვის ვერ ხდება შესაძლებელი ნაწარმოების შინაარსის ზუსტი გადმოცემაც კი. ამის გამო თარგმნის შესრულება ნამდვილ შემოქმედს, ენისა და საგნის ღრმად მცოდნე პირს შეუძლია და არა ნებისმიერ მოქალაქეს. აღნიშნულისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით ორიგინალური ნაწარმოების ავტორს აქვს თარგმნის განსაკუთრებული უფლება, რაც იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ მას შეუძლია დართოს ნება მისი ნაწარმოების თარგმნაზე, ან აკრძალოს თარგმნა. ამ უფლებით ავტორი ირჩევს მისთვის სასურველ პიროვნებას, რომელიც შეასრულებს თარგმნას, რომელიც მაქსიმალურად იქნება მიახლოებული ორიგინალთან. ამასთან, რადგან თარგმანი დამოუკიდებელ ნაწარმოებად განიხილება, საავტორო სამართალი მთარგმნელსაც ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებებს მის მიერ შექმნილ ქმნილებაზე. ეს უფლება განმტკიცებულია საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მე-18(ზ) მუხლით რომელიც ერთდროულად აღნიშნავს, რომ მთარგმნელის საავტორო უფლებით ვერ აიკრძალება იმავე ნაწარმოების (რომელიც ითარგმნა) ხელახალი თარგმანი. საავტორო სამართალი გენერალურ პრინციპად ორიგინალური ნაწარმოების ავტორის განსაკუთრებული უფლებების ხელშეუხებლობას აცხადებს. ამდენად, ნაწარმოების თარგმნისას მთარგმნელმა ნებართვა უნდა სთხოვოს ორიგინალური ნაწარმოების ავტორს და ისე თარგმნოს, რომ არ შელახოს მისი მორალური თუ ქონებრივი უფლებები. მთარგმნელის უფლებები დამოუკიდებელი უფლებებია და ამ პრინციპზე დაყრდნობით საქართველოს საავტორო სამართლიდან გამომდინარეობს, რომ თარგმანი სარგებლობს დაცვით, მიუხედავად იმისა, დაცულია თუ არა ორიგინალური ნაწარმოები. ყოველივე აღნიშნულიდან ირკვევა, რომ თარგმნილი ნაწარმოების გამომცემელს უნდა გააჩნდეს როგორც ორიგინალური ნაწარმოების ავტორის, ისე მთარგმნელის ნებართვა.

ნაწარმოების გადამუშავების უფლება ეს უფლებაც ისეთ ნაწარმოებზე ვრცელდება, რომელიც თარგმანთან ერთად წარმოებულ ნაწარმოებებს განეკუთვნება, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ თარგმნისას შინაარსობრივი

გადამუშავება არ ხდება. გადამუშავება ხდება მხოლოდ ნაწარმოების გამოხატვის თვალსაზრისით. ამდენად, თარგმანი გამოხატვის ფორმით გადამუშავებულ ნაწარმოებთა რიცხვს შეიძლება მიეკუთვნოს. გადამუშავებული ნაწარმოებებია: ადაპტაცია, არანაწილება, კომპილაცია და სხვ. გადამუშავებული ნაწარმოები დამოუკიდებელ ნაწარმოებს წარმოადგენს და მისი დაცვაც ორიგინალური ნაწარმოებისაგან დამოუკიდებელია. მაგრამ, რომ შეიქმნას გადამუშავებული ნაწარმოები ორიგინალური ნაწარმოები უნდა გადაკეთდეს, ან შეიქმნას მისი ადაპტაცია, ან არანაწილება (მუსიკალური ნაწარმოების შემთხვევაში) და სხვ. ამგვარი ქმედებების განხორციელება კი შეიძლება მოხდეს მხოლოდ ორიგინალური ნაწარმოების ავტორის ნებართვით. ამ უფლებას ორიგინალური ნაწარმოების ავტორს საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის (თ) ქვეპუნქტი და მე-13 მუხლები ანიჭებს. გადამუშავებული ნაწარმოები თუ შეიქმნა, ბუნებრივია, თარგმნის შემთხვევის მსგავსად, ასეთი ნაწარმოების ავტორსაც წარმოექმნება საკუთარი საავტორო უფლებები. ცხადია, გადამუშავებული ნაწარმოების ავტორის უფლებებით ვერ აიკრძალება იმავე ნაწარმოების სხვა პირის მიერ გადამუშავება. გამომცემელმა ან ვიდეოგრამის თუ ფონოგრამის დამამზადებელმა უნდა იქონიოს ორივე ორიგინალის ავტორისა და გადამუშავებული ნაწარმოების ავტორის ნებართვა. თავად გადამუშავებული ნაწარმოების ავტორმა არ უნდა შეზღუდოს ორიგინალური ნაწარმოების ავტორის უფლება.

თავი IV საავტორო უფლებების შეზღუდვები და გამოაკლისები

სავტორო სამართლის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზევე კანონმდებლებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს გარკვეულ შემთხვევებში საავტორო უფლებების შეზღუდვის აუცილებლობა, რამაც თავისი ასახვა ჰპოვა ქვეყნების ეროვნულ კანონმდებლობებში.

უფლებების შეზღუდვა არ აყენებს ეჭვქვეშ საავტორო უფლებების დაცვის სისტემის დადებით გავლენას ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაზე. მას

შემოაქვს მხოლოდ მაკორექტირებელი ელემენტები, რომლებიც აბალანსებს ავტორებისა და საზოგადოების ინტერესებს ნაწარმოებების გამოყენებასთან დაკავშირებით. ეს საკითხი, ბერნის კონვენციის მომზადების პერიოდში, ქვეყნებს შორის მოლაპარაკებების ერთ-ერთი მთავარი საგანი იყო და ასახვა ჰპოვა კონვენციის მთელ რიგ დებულებებში.

ბერნის კონვენციის ნორმები, რომლებიც აწესებს აღნიშნულ შეზღუდვებს, შეიძლება დაეყოს სამ ძირითად ჯგუფად.

პირველს რომელთა საფუძველზეც ეროვნული კანონმდებლობით დაცვის გავრცელების არიდან შეიძლება გამორიცხულ იქნეს გარკვეული სახის ნაწარმოებები. ასეთებად, როგორც ითქვა, შეიძლება მიჩნეულ იქნეს საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, იურიდიული ხასიათის ტექსტები და ამგვარი ტექსტების ოფიციალური თარგმანები (მუხლი 2(4)); გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები (მუხლი 2(7)); პოლიტიკური ხასიათის გამოსვლები და სასამართლო პროცესების მსვლელობისას წარმოთქმული სიტყვები (მუხლი 2bis(1)). ასევე, კონვენციის მუხლის 2(8) თანახმად, დაცვა არ ვრცელდება დღის ახალ ამბებსა და სხვადასხვა ფაქტზე, რომელთაც უბრალო პრესინფორმაციის ხასიათი აქვს.

მეორე ჯგუფს განეკუთვნება დებულებები, რომლითაც კავშირის წევრ ქვეყნებს ეძლევათ უფლება დაუშვან ნაწარმოებთა თავისუფალი გამოყენება გარკვეული პირობებითა და გარკვეული მიზნებით, მაგალითად, სასწავლო პროცესში, კვლევის მიზნით ან სიახლეების შესახებ რეპორტაჟებში გამოსაყენებლად (მუხლები: 9(2), 10, 2bis(2) და 10bis).

დებულებების მესამე ჯგუფი წარმოდგენილია მუხლებში 11bis(2) და 13. ამ დებულებების შესაბამისად, შესაძლებელია ნაწარმოებების გარკვეული სახით გამოყენება ნებართვის გარეშე, მაგრამ სამართლიანი ანაზღაურების პირობით.

აღნიშნული შეზღუდვების დანესების მიზნები განსხვავებულია.

პირველი შემთხვევა ეფუძნება გარკვეული სახის ინფორმაციის თავისუფლად გავრცელების პრინციპს, რაც ფართო საზოგადოების ინტერესების გამოხატულებას წარმოადგენს. მეორე ჯგუფის დებულებების მოქმედება უფრო ვიწრო ხასიათისაა. ის

ითვალისწინებს დაცული ნაწარმოებების უნებართვო გამოყენებას, მაგრამ მხოლოდ ზუსტად განსაზღვრული მიზნებისათვის. კერძოდ, ეს ეხება ისეთ შემთხვევებს, როცა საავტორო უფლებები შეიძლება იქნეს უგულებელყოფილი საზოგადოების გარკვეული კონკრეტული მოთხოვნებიდან გამომდინარე. მესამე ჯგუფის დებულებები ეფუძნება „იძულებითი ლიცენზირების“ პრინციპს, როცა ნაწარმოების გამოყენება შესაძლებელია ავტორთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, მაგრამ ყოველი გამოყენებისათვის შესაბამისი ჰონორარის გადახდის პირობით.

შეზღუდვები და გამონაკლისები ბერნის კონვენციით, უმეტეს შემთხვევებში, შეზღუდვების დაწესებას არა აქვს სავალდებულო ხასიათი და იგი ეროვნული კანონმდებლობის პრეროგატივად არის მიჩნეული.

4. 1 გამონაკლისები რეპროდუქციების უფლებებთან

ბერნის კონვენცია არ სცნობდა ავტორთა განსაკუთრებულ უფლებას რეპროდუქცირებაზე. შესაბამისად, კავშირის ქვეყნებს შეეძლოთ დაენესებინათ გარკვეული შეზღუდვები ამ უფლებასთან დაკავშირებით, ან საერთოდ უარეყოთ ის. ამ დროისათვის ეროვნული კანონმდებლობების მიერ უკვე აღიარებული იყო ავტორთა უფლებები რეპროდუქცირებაზე, მაგრამ, იმავდროულად, დაწესებულ იქნა გარკვეული გამონაკლისები მათ გამოყენებასთან დაკავშირებით. კავშირის ქვეყნებში ამ საკითხისადმი მიდგომები არ იყო ერთგვაროვანი და ეროვნული კანონმდებლობებით დადგენილი გამონაკლისების ხასიათი იცვლებოდა ქვეყნიდან ქვეყანაში. კერძოდ, ქვეყნებში, რომლებიც კულტურული განვითარების დონით შედარებით ჩამორჩებოდნენ, რეპროდუქციების უფლების შეზღუდვები საკმაოდ ფართო იყო (მაგ., ფინეთი), ხოლო, ამ თვალსაზრისით, მოწინავე ქვეყნებში (მაგ., საფრანგეთი) დაშვებული გამონაკლისები მკაცრად განისაზღვრებოდა. აღნიშნული მიდგომებიდან გამომდინარე, სტოკჰოლმის ზემოაღნიშნულ კონფერენციაზე, სადაც აღიარებულ იქნა ავტორების უფლება ზოგადად რეპროდუქცირებაზე, მის შეზღუდვებთან დაკავშირებით ქვეყნები შეთანხმდნენ ისეთ ფორმულირებაზე, რომელიც, ერთი მხრივ, არ შეეხებოდა საავტორო უფლებებთან დაკავშირებით

ეროვნული კანონმდებლობით დაწესებულ გამონაკლისებს, ხოლო, მეორე მხრივ, არ დაუშვებდა ისეთი ხასიათის შეზღუდვებს, რომლებიც პრაქტიკულად არაქმედით გახდიდა რეპროდუცირების უფლებას. აღნიშნული დებულებები საბოლოოდ ჩამოყალიბდა კონვენციის მუხლის 9(2) სახით: „კავშირის ქვეყნების კანონმდებლობას რჩება უფლება, გარკვეულ განსაკუთრებულ შემთხვევებში, დაუშვას ასეთი ნაწარმოებების რეპროდუცირება იმ პირობით, თუ ასეთი ბერნის კონვენცია რეპროდუცირება არ აყენებს ზიანს ნაწარმოების ჩვეულებრივ გამოყენებასა და უსაფუძვლოდ არ ლახავს ავტორის კანონიერ ინტერესებს“. ამ მუხლის საფუძველზე დაწესდა ე.წ. სამსაფეხურიანი ტესტი, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს რეპროდუცირების უფლებების ეროვნული კანონმდებლობით დადგენილმა შეზღუდვებმა, რათა ისინი არ აღმოჩნდნენ წინააღმდეგობაში ბერნის კონვენციასთან.

ბერნის კონვენციის 9(2) მუხლის თანახმად, შეზღუდვის შემოღება შესაძლებელია მხოლოდ შემდეგი სამი პირობის ერთდროული დაკმაყოფილების შემთხვევაში: 1. რეპროდუცირება უნდა მოხდეს მხოლოდ გარკვეულ განსაკუთრებულ შემთხვევებში; რეპროდუცირების უფლების შეზღუდვას არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე ზოგადი საფუძველი (მაგ., ქვეყნის ეკონომიკური პრობლემები). ის უნდა უკავშირდებოდეს კონკრეტულ მიზნებს, რომლებიც განპირობებული უნდა იყოს განსაკუთრებული შემთხვევებით.

2. არ უნდა აყენებდეს ზიანს ნაწარმოების ჩვეულებრივ (ნორმალურ) გამოყენებას; საავტორო უფლებების შეზღუდვამ ხელი არ უნდა შეუშალოს ნაწარმოების ჩვეულებრივ გამოყენებას. ზოგადი მოსაზრებებიდან გამომდინარე, ნაწარმოების ჩვეულებრივ გამოყენებად უნდა მივიჩნიოთ ნაწარმოების იმ დანიშნულებით გამოყენება, რომელიც ჩვეულებრივ მოსალოდნელია ამ სახის ნაწარმოებისათვის.

3. უსაფუძვლოდ არ უნდა ლახავდეს ავტორის კანონიერ ინტერესებს.

სტოკჰოლმის კონვენციის პირველი მთავარი კომიტეტის ანგარიშის თანახმად, ნაწარმოების ჩვეულებრივი გამოყენების ხელშემშლელ გარემოებად

შეიძლება მიჩნეულ იქნეს გარკვეული მიზნით ნაწარმოების ასლების დიდი რაოდენობით დამზადება. მაგრამ რაოდენობრივ მახასიათებელს ვერ მივიღებთ შეფასების ერთადერთ კრიტერიუმად, რადგან გარკვეულ გარემოებებში რამდენიმე ასლიც კი შეიძლება იქცეს ნაწარმოების გამოყენების ხელშემშლელ ფაქტორად. მაგალითად, განსხვავებულად უნდა შეფასდეს სკოლის ორკესტრის საჭიროებისათვის მუსიკალური პარტიტურის ნაწილის ასლების დამზადება და რომანის ნაწყვეტის ასლების დამზადება მოსწავლეთათვის შესასწავლად. მესამე პირობასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ავტორთა კანონიერი ინტერესების უსაფუძვლო შელახვას, სტოკჰოლმის კონფერენციის პირველმა მთავარმა კომიტეტმა თავისი პოზიცია შემდეგნაირად დააფიქსირა: „... საკმარისად დიდი რაოდენობით ასლების დამზადება, რომლებიც განკუთვნილია ინდუსტრიულ საწარმოში გამოსაყენებლად... შესაძლებელია უსაფუძვლოდ არ ლახავდეს ავტორის კანონიერ ინტერესებს, იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს ამისათვის სამართლიანი საზღაურის გადახდას. თუ დამზადებულია მცირე რაოდენობის ასლები, ფოტოკოპირებაზე ნებართვა შეიძლება მიეცეს საზღაურის გადახდის გარეშე. კერძოდ, ინდივიდუალურად და მეცნიერული მიზნით გამოსაყენებლად“.³⁹ აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ქვეყანაში რეპროდუქციების უფლებასთან დაკავშირებული გამონაკლისები განსხვავებულია.

4.2 ციტატების მოყვანის უფლება

ბერნის კონვენციით დაშვებული შემდეგი გამონაკლისი დაკავშირებულია რეპროდუქციების უფლებასთან და უკავშირდება ციტატების მოყვანას ნაწარმოებებიდან. ნაწყვეტების ციტირებას ჩვეულებრივ, ადგილი აქვს პოლემიკური და კრიტიკული ხასიათის მასალებში, ისტორიულ ტრაქტატებში, ქრესტომათიული ხასიათის სახელმძღვანელოებში და სხვ. ამგვარი გამონაკლისები დაშვებულია ქვეყნების უმრავლესობის კანონმდებლობით. ბერნის კონვენციაში აღნიშნულს ეხება მუხლი 10(1), რომლის მოქმედებას, მუხლისაგან 9(2) განსხვავებით, სავალდებულო

³⁹ბერნის კონვენცია, სტოკჰოლმი, მუხლი 9

ძალა აქვს კავშირის ქვეყნებისათვის და ის ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით: „დასაშვებია ციტატების მოყვანა ნაწარმოებიდან, რომელიც კანონიერად უკვე გახდა საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი, იმ პირობით, რომ ეს შეთავსებადია კეთილსინდისიერ საქმიანობასთან და მისი მოცულობა გამართლებულია დასახული მიზნით, მათ შორის, სტატიების ციტირება ჟურნალ-გაზეთებიდან პრესის მიმოხილვის ფორმით“.⁴⁰ აღნიშნული ფორმულირება მიღებულ იქნა სტოკჰოლმის 1967 წლის კონფერენციაზე. ის აწესებს რიგ პირობებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა, რათა ნაწარმოებიდან ციტირება დასაშვებად იქნეს მიჩნეული. ეს პირობებია:

1) უპირველეს ყოვლისა, ნაწარმოები, საიდანაც ხდება ციტირება, კანონიერად ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის. ნაწარმოების ხელმისაწვდომობა ფართო ცნებაა და მოიცავს როგორც ნაწარმოების გამოქვეყნებას, ისე მის შესრულებას საზოგადოების წინაშე, საჯარო გადაცემას მაუწყებლობის საშუალებითა და სხვა. ის არ ვრცელდება გამოუქვეყნებულ ხელნაწერებსა და ვიწრო წრისათვის დაბეჭდილ ნაწარმოებებზე. მუხლი 10(1) არ ადგენს რაიმე შეზღუდვას ნაწარმოებების სახეობათა მიხედვით. ციტირებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მასალები წიგნებიდან, პერიოდული გამოცემებიდან, სამაუწყებლო გადაცემებიდან, კინემატოგრაფიული და დრამატული ნაწარმოებებიდან.⁴¹

მოთხოვნა „კანონიერად ხელმისაწვდომი“ მოიცავს შემთხვევებს, როდესაც ნაწარმოები ხელმისაწვდომი ხდება საზოგადოებისათვის, როგორც ავტორის თანხმობის, ისე იძულებითი ლიცენზიის საფუძველზე. ის, აგრეთვე, არ გამორიცხავს ციტირების მიზნით ფოლკლორის ნაწარმოების გამოყენებასაც.

მეორე პირობა დაკავშირებულია მოთხოვნასთან, რომ ციტატების მოყვანა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს „კეთილსინდისიერ საქმიანობას“. ანგლო-საქსური

⁴⁰ ბერნის კონვენცია, სტოკჰოლმი, მუხლი 9

⁴¹ Deazley, Ronan, Rethinking Copyright, history, theory, language, Cornwall, Bodmin, 2006.

სამართლისათვის (საერთო სამართლის სისტემა) დამახასიათებელი „კეთილსინდისიერი საქმიანობის“ კონცეფცია, პრაქტიკულად უცხოა კონტინენტური ევროპისათვის და, პრეცედენტული სამართლის ტრადიციებიდან გამომდინარე, ამ საკითხის განსჯა ეროვნული სასამართლოების პრეროგატივას წარმოადგენს. ციტირების კეთილსინდისიერების შესაფასებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს კონვენციის მუხლში 9(2) მოცემული კრიტერიუმი – ციტირება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ნაწარმოების ჩვეულებრივ გამოყენებას და უსაფუძვლოდ არ უნდა ლახავდეს ავტორის კანონიერ ინტერესებს.

3) მესამე პირობის თანახმად, ციტატის მოცულობა გამართლებული უნდა იყოს დასახული მიზნით გამართლებულ მოცულობით. ამდენად, ამ თვალსაზრისით, ბერნის კონვენცია არ ადგენს რაიმე კონკრეტულ ფარგლებს. სტოკჰოლმის კონფერენციის პირველმა მთავარმა კომიტეტმა ამ საკითხთან დაკავშირებით უპირატესობა მიანიჭა მიდგომას, რომლის თანახმადაც ის უნდა გადაწყდეს გამართლებული მიზნის და კეთილსინდისიერი საქმიანობის კრიტერიუმების საფუძველზე და, შესაბამისად, ისევე, როგორც წინა შემთხვევაში, გახდება სასამართლოების განხილვის საგანი. მუხლი 10(1) არ იძლევა იმის ჩამონათვალს, თუ რა მიზნებისთვის შეიძლება იქნეს გამოყენებული ციტატები და მიუთითებს მხოლოდ იმაზე, რომ დასაშვებია საგაზეთო სტატიებიდან და პერიოდული გამოცემებიდან ციტატების მოყვანა პრესის მიმოხილვების სახით. მაგრამ სტოკჰოლმის კონფერენციაზე და მისი მოსამზადებელი სამუშაოების პერიოდში გამართული დისკუსიების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ციტირება მეცნიერების, განათლების, ბერნის კონვენცია კრიტიკისა და საინფორმაციო მიზნებისათვის თავსდება ამ მუხლის მოქმედების ფარგლებში.

4.3 ნაწარმოებების გამოყენება ილუსტრაციების სახით

ისევე, როგორც ციტატების მოყვანისას, ნაწარმოებების გამოყენება ილუსტრაციის სახით უნდა ხდებოდეს დასახული მიზნით გამართლებული მოცულობით და არ ეწინააღმდეგებოდეს კეთილსინდისიერი საქმიანობის

პრინციპებს. თუმცა, სიტყვები „ილუსტრაციის სახით“ გარკვეულწილად ზღუდავს ნაწარმოების გამოყენების მოცულობას, ის არ გამორიცხავს ნაწარმოების მთლიანად ილუსტრირების შესაძლებლობასაც, თუ ეს გამართლებულია სწავლების მიზნებით. ნაწარმოებების გამოყენება ილუსტრაციის სახით სწავლების მიზნებისათვის შეიძლება განხორციელდეს გამოცემების, ეთერთ გადაცემების და ხმის ან გამოსახულებების ჩანაწერების საშუალებით. ამავე კომიტეტის განმარტებით, ნაწარმოებების ჩართვა საეთერო გადაცემებში, რომლებიც განკუთვნილია სასწავლო ინსტიტუტებისა და სკოლებისათვის, დასაშვებია იმ შემთხვევებშიც, როდესაც ისინი სრულდება თართო აუდიტორიის წინაშე. ასეთი გამონაკლისი ნაწარმოებების გამოყენებასთან დაკავშირებით ეხება არა უშუალოდ ეთერთ გადაცემებს, არამედ ჩანაწერების საშუალებით ამ გადაცემების შესრულებასაც საკლასო ოთახებსა და სასწავლო აუდიტორიებში. მუხლი 10(2) არ ადგენს რაიმე შეზღუდვებს გამოცემების, ხმის, ან გამოსახულებების ჩანაწერების ასლების რაოდენობაზე, აგრეთვე, შეზღუდული არ არის ეთერთ გადაცემის მასშტაბები და შეზღუდვები და გამონაკლისები გადაცემული პროგრამების ჩანაწერების ასლების რაოდენობა, თუ ეს განპირობებულია სწავლების მიზნებით. აქ ერთადერთ კრიტერიუმს წარმოადგენს ის, რომ ასეთი ასლების რაოდენობა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კეთილსინდისიერი საქმიანობის პრინციპებს

4.4 წყაროს და ავტორის მითითება

მუხლი 10(3) ადგენს, რომ ნაწარმოებებიდან ნაწყვეტების ციტირებისას და ნაწარმოებების ილუსტრაციის სახით სწავლების მიზნებისათვის გამოყენებისას მითითებულ უნდა იქნეს წყარო და ავტორი, თუ ეს უკანასკნელი აღნიშნულია ამ წყაროში. მოთხოვნა წყაროს და ავტორის მითითების შესახებ ატარებს სავალდებულო ხასიათს. პირადი არაქონებრივი უფლებების შესახებ მუხლის 6bis არსებობის პირობებში, აღნიშნული მოთხოვნა თითქოს ზედმეტია, მაგრამ მისი ჩართვა მე-10 მუხლში ნაკარნახევი იყო იმ მოსაზრებით, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით გამორიცხულიყო ყოველგვარი გაუგებრობა.

4.5 გამონაკლისები მასმედიასთან და მიმდინარე მოვლენების გაშუქებათან მიმართებაში

მიმდინარე მოვლენების გაშუქებასთან დაკავშირებით ბერნის კონვენცია დასაწყისიდანვე ითვალისწინებდა გამონაკლისებს გარკვეული სახის ნაწარმოებების პრესაში თავისუფალ გამოყენებასთან დაკავშირებით. აღნიშნული გამონაკლისების არსებობის საფუძველს წარმოადგენს ინფორმაციის თავისუფლად გავრცელების ხელშეწყობა. დებულებები, რომლებიც არეგულირებს ნაწარმოებების თავისუფალ გამოყენებას ზემოაღნიშნულ კონტექსტში, შეიძლება დაიყოს ორ კატეგორიად: სტატიებისა და სხვა ხასიათის ნაწარმოებების გამოყენება მასმედიის მიერ (მუხლი 10bis(1)) და ნაწარმოებების გამოყენება საზოგადოების ინფორმირების მიზნით მიმდინარე მოვლენების მიმოხილვისას (მუხლები: 2bis (2), 10bis (2)). მუხლი 10bis(1) ეხება მიმდინარე ეკონომიკური, პოლიტიკური, ან რელიგიური საკითხების შესახებ სტატიებისა და ეთერით გადაცემული ნაწარმოებების მასალების მასმედიის მიერ თავისუფალ გამოყენებას. მნიშვნელოვანია, რომ ამ მუხლის მოქმედება რეპროდუცირების უფლების გარდა მოიცავს უფლებას საჯარო გადაცემაზე ეთერისა და სადენის (კაბელი) საშუალებით.

სტოკჰოლმის კონვენციის მიღწეულ იქნა შეთანხმება იმის თაობაზე, რომ მუხლის 10(2) მსგავსად, მუხლი 10bis(1) მოიცავს სამაუწყებლო გადაცემების მეორად გამოყენებასაც. კერძოდ, მათ საჯარო შესრულებას ხმამაღლა მოლაპარაკის ან სატელევიზიო ეკრანის გამოყენებით. ეს მუხლი, ასევე, მოითხოვს ნაწარმოების გამოყენებისას ავტორების პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვას. კერძოდ, ისევე როგორც ციტირების ან სწავლების მიზნით ილუსტრირების შემთხვევებში (მუხლი 10(3)), უნდა არსებობდეს მკაფიო მითითება ნაწარმოების ავტორსა და წყაროზე. ამ ვალდებულების დარღვევის სამართლებრივი შედეგები განისაზღვრება იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელშიც მოითხოვება დაცვა.

10bis(2) მუხლის თანახმად, „კავშირის ქვეყნების კანონმდებლობას, ასევე, რჩება უფლება განსაზღვროს პირობები, რომელთა მიხედვითაც შეიძლება ფოტოგრაფიის, კინემატოგრაფიის, ეთერთ გადაცემის ან სადენით საჯარო გადაცემის საშუალებით მიმდინარე მოვლენების გაშუქებისას რეპროდუცირებულ იქნეს და საინფორმაციო მიზნით გამართლებული მოცულობით გახდეს საჯაროდ ხელმისაწვდომი შეზღუდვები და გამონაკლისები ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებები, რომლებიც ისმის ან ჩანს მოვლენის მსვლელობისას“. ხშირად, მიმდინარე მოვლენების გაშუქებისას საინფორმაციო მასალებში შეიძლება ჩანდეს ან ისმოდეს ნაწარმოები, რომელიც ექვემდებარება დაცვას. მაგალითად, ოფიციალური ვიზიტებისას უკრავენ სახელმწიფო ჰიმნებსა და სხვადასხვა საცერემონიო მუსიკას, რომელიც ძალაუნებურად ისმის ასეთი მოვლენების შესახებ პირდაპირი რეპორტაჟის დროს ან მისი შემდგომი გაშუქებისას. ცხადია, ასეთ შემთხვევებში ყოველთვის შეუძლებელია კომპოზიტორისაგან წინასწარი თანხმობის მიღება ნაწარმოების რეპროდუცირებაზე ან საჯარო გაცნობაზე და სრულიად ლოგიკურია, რომ ამგვარ სიტუაციებში დაშვებულ იქნეს შესაბამისი გამონაკლისები.

კომპოზიტორის მემკვიდრეების ნებართვის გარეშე შეიძლება გაჟღერდეს მუსიკალური ნაწარმოები რეპორტაჟში, რომელიც ეძღვნება კომპოზიტორის ბიუსტის გახსნასთან დაკავშირებულ ცერემონიას. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ნაწარმოები, რომლის რეპროდუცირებაზე ვრცელდება გამონაკლისი, უნდა სრულდებოდეს უშუალოდ ცერემონიის მსვლელობისას და მისი შემდგომში ჩართვა აუილოვიზუალურ ჩანანერსა თუ სამაუწყებლო გადაცემაში დაუშვებელია. სამხატვრო გამოფენის გახსნის რეპორტაჟის დროს, არ ჩაითვლება ავტორის უფლებების დარღვევად, თუ, მაგალითად, კადრში გამოჩნდა მისი ფერწერული ტილოს ან სკულპტურული ნაწარმოების გამოსახულება. კონვენციის შესაბამისად, მიმდინარე მოვლენის გაშუქებისას ნაწარმოების რეპროდუცირების მოცულობა გამართლებული უნდა იყოს საინფორმაციო მიზნებით. აღნიშნული ეხება ფოტოებსაც, რომლებიც იბეჭდება მიმდინარე მოვლენების გაშუქებისას გაზეთებსა და პერიოდულ გამოცემებში.

მუხლის 10ბ-ის ორივე პუნქტის შესაბამისად, გამონაკლისების დაშვება ეროვნული კანონმდებლობის საგანს შეადგენს. მაგრამ, მუხლისაგან 10 ბის(1) განსხვავებით, მუხლით 10 ბის (2) კავშირის ქვეყანას ბერნის კონვენცია ანიჭებს უფლებას „განსაზღვროს პირობები“, რომელთა მიხედვითაც ნაწარმოებები შეიძლება იქნეს რეპროდუცირებული და გახდეს საჯარო ხელმისაწვდომი ავტორის ნებართვის გარეშე. მაგალითად, ქვეყანამ ასეთ პირობად, იძულებითი ლიცენზირების საფუძველზე, შეიძლება დააწესოს ავტორისათვის სამართლიანი ანაზღაურების გადახდა.

4.6 გამონაკლისები ნაწარმოების ეთერით გადაცემასა და საჯარო გაცნობის სხვა საშუალებებთან დაკავშირებით

მუხლის 11 ბის (2) თანახმად, კავშირის ქვეყნები უფლებამოსილნი არიან დაადგინონ მუხლში 11 ბის (1) მითითებული ეთერით გადაცემისა და საჯარო გაცნობის სხვა საშუალებების გამოყენებისას საავტორო უფლებათა მოქმედების პირობები. კერძოდ, ამ ქვეყნებს შეუძლიათ დაუშვან ნაწარმოების ამგვარი გამოყენება უფლების მფლობელისაგან წინასწარი თანხმობის მიღების გარეშე, მისთვის სამართლიანი ანაზღაურების მიცემის პირობით, ანუ დააწესონ ასეთი შემთხვევებისათვის იძულებითი ლიცენზირების რეჟიმი. ეს გამონაკლისი ბერნის კონვენციაში გაჩნდა რომის 1928 წლის აქტში, როდესაც პირველად იქნა შემოღებული საავტორო უფლებები ნაწარმოების ეთერში გადაცემასთან დაკავშირებით. ამ მუხლის მოქმედება გაფართოვდა ბრიუსელის 1948 წლის აქტში და მოიცვა ყველა ის უფლება, რომელიც ამჟამად ფიგურირებს პარიზის 1971 წლის აქტში.

მუხლი 11 ბის (2), ასევე, ადგენს, რომ ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული პირობები არავითარ შემთხვევაში არ უნდა ლახავდეს ავტორის პირადი არაქონებრივ უფლებებს, ხოლო შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, სამართლიანი ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავს კომპეტენტური ორგანო.

სამაუნწყებლო ორგანიზაციებს თავის საქმიანობაში ხშირად სჭირდებათ

გადაცემების ჩანერა სასურველ დროს მათი გამოყენებისათვის. მუხლი 11 ბის (3) აწესრიგებს სამაუწყებლო ორგანიზაციების მიერ გადაცემული ნაწარმოებების ჩანერის საკითხს. ამ მუხლის შესაბამისად, 11 ბის (1) მუხლის საფუძველზე გაცემული ნებართვა არ გულისხმობს გადაცემული ნაწარმოების ჩანერის ნებართვას ხმების ან გამოსახულებების ჩამწერი მონაცემების გამოყენებით. ამავე დროს, კონვენცია ეროვნული კანონმდებლობის პრეროგატივად მიიჩნევს ხანმოკლე გამოყენებისათვის ჩანაწერების შესრულების წესების განსაზღვრას, რასაც ახორციელებს სამაუწყებლო ორგანიზაცია შეზღუდვები და გამონაკლისები საკუთარი მონაცემებით და იყენებს საკუთარი საეთერო გადაცემებისათვის.

ამავე კანონმდებლობით, განსაკუთრებული დოკუმენტური ხასიათის გამო, შესაძლებელია ნებადართული იყოს ასეთი ჩანაწერების შენახვა ოფიციალურ არქივებში. ლექციების და მიმართვების გარკვეული გამოყენება მუხლი 2 ბის (2) ნებას რთავს კავშირის ქვეყნების ეროვნულ კანონმდებლობას „...განსაზღვროს პირობები, რომლითაც ლექციები, მიმართვები და ამავე ხასიათის საჯაროდ წარმოთქმული სხვა ნაწარმოებები შეიძლება რეპროდუცირებულ იქნეს პრესის მეშვეობით, გადაიყვანოს ეთერით, გადაიყვანოს საჯარო გაცნობისათვის სადენის მეშვეობით და გახდეს საჯარო გაცნობის საგანი, როგორც ეს გათვალისწინებულია ბერნის კონვენციით. როდესაც ამგვარი გამოყენება გამართლებულია საინფორმაციო მიზნით“.⁴²

4.7 ლექციების და მიმართვების გარკვეული გამოყენება

სტოკჰოლმის 1967 წლის კონვენციისაზე ამ მუხლში შეტანილ იქნა მნიშვნელოვანი ცვლილებები. მან, პრესასთან ერთად, მოიცვა მუხლში 11 ბის (1) წარმოდგენილი საჯარო გაცნობის ყველა საშუალება. ამასთან, მისი მოქმედება აღარ გავრცელდა ქადაგებებზე. უნდა აღინიშნოს, რომ მუხლი 2 ბის (2) არ ითვალისწინებს მასში დადგენილი მიზნებისათვის კინემატოგრაფიული ნაწარმოების გამოყენებას. იმის გათვალისწინებით, რომ მუხლის 2 ბის (2) თანახმად, ნაწარმოების

⁴² ბერნის კონვენცია, სტოკჰოლმი, მუხლი 11 ბის (1)

გამოყენების პირობების განსაზღვრა ეროვნული კანონმდებლობის პრეროგატივაა, კავშირის ქვეყნებს აქვთ შესაძლებლობა დაადგინონ მუხლში 2 ბის (2) მითითებული ნაწარმოების გამოყენების იძულებითი ლიცენზირების რეჟიმი სამართლიანი ანაზღაურების გადახდის საფუძველზე. მუხლის 2 ბის (2) თანახმად, ნაწარმოებების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ საინფორმაციო მიზნით. მაგრამ, თუ მუხლის 10 ბის (2) შესაბამისად, ნაწარმოების რეპროდუცირება ან საზოგადოებისათვის გაცნობა სხვადასხვა საშუალებით (ეთერით გადაცემა, კინემატოგრაფია და სხვა) გამართლებულია მიმდინარე მოვლენების გაშუქების მიზნით, რაც ნიშნავს, რომ საზოგადოებისათვის მინოდებული ინფორმაცია უნდა იყოს ახალი, მუხლის 2 ბის (2) შემთხვევაში, სიახლის ელემენტი არ თამაშობს როლს და ნაწარმოებით დაინტერესება განპირობებულია თემითა და შინაარსით. მაგალითად, საჯარო ლექცია, რომელიც ეხება წარსულის ცნობილ მოღვაწეს ან ისტორიულ მოვლენას, შეიძლება დაიბეჭდოს პრესაში ავტორის ნებართვის გარეშე. ამასთან, დასაშვებია, რომ ნაწარმოები რეპროდუცირებული იქნეს მთლიანად. მუხლის 2 ბის (3) თანახმად, ავტორი სარგებლობს 2 ბის (2) მუხლში მითითებული თავისი ნაწარმოებების კრებულის შედგენის განსაკუთრებული უფლებით.

4.8 მუსიკალური ნაწარმოებებისა და მასთან დაკავშირებული ტექსტების ჩანერის უფლების შეზღუდვა ავტორების

მუსიკალური ნაწარმოებების ჩანერის უფლებების შეზღუდვის დანესება განპირობებულია ჩამწერი ინდუსტრიის განვითარების ინტერესებით. იმისათვის, რომ ბიძგი მისცემოდა ჩამწერ ინდუსტრიაში ინვესტიციების მიზიდვას და, შესაბამისად, მის განვითარებას, ამ დარგის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზევე შეზღუდულ იქნა ავტორთა უფლებები გაეკონტროლებინათ ნაწარმოებების ჩანერა და ჩანაწერების გავრცელება, როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე ძალისხმევა მიმართული იყო იქითკენ, რომ, ერთი მხრივ, ხელი არ შეშლოდა ჩამწერი ინდუსტრიის სწრაფ აღმავლობას, ხოლო მეორე მხრივ დაცული ყოფილიყო ავტორთა იმ დროისათვის უკვე აღიარებული უფლებები მექანიკურ

ჩანერასთან მიმართებაში.

ბერნის კონვენციის ბერლინის 1908 წლის აქტის მომზადებისას, აქტიურად განიხილებოდა შეზღუდვები და გამონაკლისები 66 კონვენციის მონაწილე ქვეყნებში მუსიკალურ ჩანაწერებზე იძულებითი ლიცენზირების რეჟიმის სავალდებულო გავრცელების საკითხი. მაგრამ, წამოჭრილ წინააღმდეგობებთან დაკავშირებით, ამ საკითხის დარეგულირება საბოლოოდ ეროვნული კანონმდებლობის პრეროგატივად იქნა მიჩნეული.⁴³ აღნიშნულმა მუხლმა გარკვეული ცვლილებები განიცადა ბერნის კონვენციის შემდგომი გადასინჯვისას (რომში 1928 წელს და ბრიუსელში 1948 წელს) და სტოკჰოლმის 1967 წლის აქტში ჩამოყალიბდა 13 (1) მუხლის სახით შემდეგნაირად: „კავშირის თითოეულ ქვეყანას შეუძლია თავისთვის დააწესოს დათქმები და პირობები მუსიკალური ნაწარმოებების ავტორისა და იმ ნებისმიერი ტექსტის ავტორისთვის მინიჭებულ განსაკუთრებულ უფლებებთან დაკავშირებით, რომელმაც გასცა მუსიკალურ ნაწარმოებთან ერთად ტექსტის ჩანერის ნებართვა, რათა ასეთ ტექსტთან ერთად, თუ ამგვარი არსებობს, გასცეს ამ მუსიკალური ნაწარმოების აუდიო ჩანაწერის დამზადების ნებართვა; თუმცა, ყველა ასეთი დათქმა და პირობა მოქმედებს მხოლოდ იმ ქვეყნებში, რომლებმაც ისინი დააწესა და არავითარ შემთხვევაში არ უნდა ლახავდეს ამ ავტორების უფლებას მიიღონ სამართლიანი ანაზღაურება, რომელსაც შეთანხმების არარსებობისას ადგენს უფლებამოსილი ორგანო“.⁴⁴ ამდენად, მუხლის 13 (1) თანახმად, ბერნის კონვენციის მონაწილე ქვეყანას გააჩნია უფლება დააწესოს იძულებითი ლიცენზირების რეჟიმი მუსიკალური ნაწარმოებების ჩანერასთან დაკავშირებით. ამ ნორმას არ გააჩნია სავალდებულო ხასიათი და მისი შემოღება ეროვნული კანონმდებლობის პრეროგატივაა. იძულებითი ლიცენზირების რეჟიმი ვრცელდება მუსიკალური ნაწარმოების თანმხლებ ტექსტზეც იმ პირობით, თუ არსებობს ტექსტის ავტორის წინასწარი თანხმობა მუსიკალურ ნაწარმოებთან ერთად ტექსტის ჩანერის თაობაზე.

⁴³ ბერნის კონვენცია, ბერლინის აქტი, 1908, მუხლი 13 (2)

⁴⁴ ბერნის კონვენცია, სტოკჰოლმი, მუხლი 13 (1)

კინემატოგრაფიული ნაწარმოებების რეპროდუქციების უფლებაზე ბერნის კონვენციის 13 (1) დებულებები იძულებითი ლიცენზირების შესახებ არ ვრცელდება. იძულებითი ლიცენზირების მექანიზმის მოქმედება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა უკვე არსებობს მუსიკალური ნაწარმოების ადრინდელი ჩანაწერი, რომელიც განხორციელდა ავტორის თანხმობით. პირველი ჩანაწერის გაკეთებაზე გადანყვეტილების მიღება მხოლოდ ავტორის უფლებაა და უნებართვოდ ჩანერა ლახავს ავტორის როგორც ქონებრივ, ისე ბერნის კონვენციით დადგენილ პირადი არაქონებრივ უფლებებს. დათქმები და პირობები, რომლებსაც აწესებს კავშირის წევრი ქვეყანა, ვრცელდება მხოლოდ იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელმაც ისინი დააწესა. ამდენად, ავტორს ერთი და იმავე ნაწარმოებზე სხვადასხვა ქვეყანაში შეიძლება გააჩნდეს განსხვავებული უფლებები. უნდა აღინიშნოს, რომ სტოკჰოლმის აქტმა გააუქმა ბერნის კონვენციის ადრინდელი აქტებით დაშვებული იძულებითი ლიცენზირების რეჟიმის გავრცელება ჩანაწერების საჯარო შესრულებაზე. აღნიშნული დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ მუსიკალური დისკების საჯარო შესრულებამ მიიღო ფართო ხასიათი, ის კონტრაქტით რეგულირების საგანია და იძულებითი ლიცენზირების რეჟიმის გავრცელებამ ამ სფეროზე აზრი დაკარგა. სტოკჰოლმის 1967 წლის აქტის მიღებამდე, ბერნის კონვენციის შესაბამისად, მექანიკური რეპროდუქციების უფლებები არ ვრცელდებოდა იმ ნაწარმოებებზე, რომელთა რეპროდუქცირება მოხდა კანონიერ საფუძველზე, ბერლინის აქტის ძალაში შესვლამდე, ხოლო იმ ქვეყნების შემთხვევაში, რომლებიც შეუერთდნენ ბერნის კონვენციას შემდგომ პერიოდში მათი კონვენციასთან შეერთების თარიღამდე. ამ დებულებების მოქმედება გამოიხატებოდა იმაში, რომ მუსიკალური ნაწარმოების ჩანერა, ავტორის ნებართვის გარეშე, შეიძლებოდა განხორციელებულიყო მითითებული თარიღების შემდეგაც. გარდა ამისა, ამ თარიღებამდე აღნიშნული იმუნიტეტი ვრცელდებოდა მთელ ნაწარმოებზე, მისი მხოლოდ ნაწყვეტის ჩანაწერის არსებობის შემთხვევაშიც კი. სტოკჰოლმის აქტმა გააუქმა ბერნის კონვენციის ამ ნორმის მოქმედება და, შესაბამისად, ავტორებსა და მათ სამართალმემკვიდრეებს ახალი ჩანერების

განხორციელებისას მიეცათ ანაზღაურების მიღების საშუალება.

სტოკჰოლმის აქტის მუხლის 13 (2) შესაბამისად, 1928 წლის 2 ივნისს რომში და 1948 წლის 26 ივნისს ბრიუსელში ხელმოწერილი კონვენციების მუხლის 13 (3) თანახმად, „კავშირის ქვეყნებში გაკეთებული მუსიკალური ნაწარმოების ჩანაწერების რეპროდუცირება ამ ქვეყანაში შესაძლებელია მუსიკალური ნაწარმოების ავტორის ნებართვის გარეშე, ვიდრე ორი წელი არ გავა ქვეყნისათვის ამ აქტით ვალდებულებების დაკისრების შემდეგ.

შეზღუდვების და გამონაკლისების არსი მდგომარეობს შემდეგში: თუკი ქვეყანა შეუერთდა ბერნის კონვენციას სტოკჰოლმის 1967 წლის ან პარიზის 1971 წლის აქტის საფუძველზე, მუხლის 13(1) მოქმედება ვრცელდება დაცული მუსიკალური ნაწარმოების და შესაბამისი ტექსტის ნებისმიერ ჩანწერაზე, რომელიც გაკეთდა შეერთების შემდეგ, დამოუკიდებლად იმისა, არსებობდა თუ არა მანამდე ნაწარმოების კანონიერ საფუძველზე გაკეთებული ჩანაწერი. თუ ქვეყანა შეერთებული იყო კონვენციის ბრიუსელისა და რომის აქტებს, მაშინ იმუნიტეტი, რომელიც დაწესებული იყო ამ აქტების მუხლის 13 (2) შესაბამისად, ბერლინის აქტის მიღებამდე კანონიერად შესრულებულ ჩანაწერებზე იწურება ქვეყნის მიერ სტოკჰოლმისა და პარიზის აქტით დადგენილი ვალდებულებების აღიარებიდან 2 წლის შემდეგ. თუ ქვეყანა შეერთებული იყო ბერლინის აქტთან, მაშინ იმუნიტეტის მოქმედება წყდება სტოკჰოლმისა და პარიზის აქტებთან შეერთებისთანავე.

დასკვნა

თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად საავტორო უფლებების დაცვა რჩება. საავტორო სამართლის ნორმებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობისათვის, არამედ შესაბამის დარგში ინვესტიციების მოზიდვისა და ერების კულტურული განვითარებისათვის. საავტორო სამართალი, რომელიც საუკუნეების მანძილზე ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში ფორმირდებოდა, მე-19 საუკუნის შემდგომ განვითარებას იწყებს საერთაშორისო სამართლებრივ სივრცეშიც, რაც გამოიხატა საერთაშორისო შეთანხმებების მიღებასა და ეროვნული კანონმდებლობების ჰარმონიზებაში.

საერთაშორისო სისტემაში ტრანსფორმირების პროცესი განპირობებული იყო ქვეყნებს შორის კულტურული ურთიერთობების გაღრმავებითა და, ამ პირობებში, ეროვნულ საზღვრებს გარეთ ავტორთა უფლებების დაცვის სამართლებრივი

გარანტიების შექმნის აუცილებლობით. საავტორო სამართლის საერთაშორისო ინსტრუმენტების არსებობის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა თანამედროვე ეტაპზე ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბების პირობებში. დღევანდელ მსოფლიოში, როცა მანძილმა და დრომ დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა, უახლესი საკომუნიკაციო და საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით, ინფორმაციის შემცველი ნებისმიერი პროდუქცია, იქნება ეს ლიტერატურული თუ მუსიკალური ნაწარმოები, ფილმი, აუდიოჩანაწერი, კომპიუტერული პროგრამა, მონაცემთა ბაზა თუ სხვა, ადვილად ხელმისაწვდომი ხდება მსოფლიოს ყველა კუთხეში. ყოველივე ამან გამოიწვია საავტორო სამართალთან დაკავშირებული საკითხების აქტუალიზაცია, საზოგადოების ყურადღების ფოკუსირება ამ სფეროში მოქმედ საერთაშორისო შეთანხმებებსა და მათ ცალკეულ ნორმებზე.

საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში საზოგადოების ცნობიერება ამალღდა, თუმცა დარღვევები მაინც გვხვდება. ავტორთა უფლებათა დარღვევა ყველაზე ხშირად მუსიკის მიმართულებით გვაქვს. ავტორმა უკვე იცის როგორ დაიცვას საკუთარი საავტორო უფლებები. დაცულობის შემთხვევაში, ავტორი იღებს არა მარტო მორალურ კმაყოფილებას, არამედ მატერიალურ ჰონორარს. გამომდინარე აქედან, ავტორი გააქტიურებულია და ის ხმამაღლა აფიქსირებს ყველა იმ დარღვევას, რომელიც მის გარშემო ხდება. მისი, როგორც უფლებამოსილი პირის აქტიურობა, ძალიან მნიშვნელოვანია. ფიზიკური პირი თუ კომპანია, რომელიც იცავს საავტორო უფლებებს, ასევე, აწარმოებს საავტორო უფლებებით დაცულ კონტენტს, აცნობიერებს, რომ უნდა გადაიხადოს გარკვეული ჰონორარი. ეს კულტურა საქართველოში ნელნელა ყალიბდება.

ყველა სახელმწიფოს ამოცანაა, ხელი შეუწყოს ინტელექტუალური საკუთრების, შემოქმედებითი შრომისა და ასევე საავტორო უფლებების სამართლებრივად დაცვის საკითხს. საავტორო უფლება არის ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლება, რომელიც წარმოიშობა ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოების შექმნისა და შემდეგ მისი გამოყენებისას. საავტორო

უფლება წარმოიშობა, ნაწარმოების შექმნის მომენტიდან. ასოცირების ხელშეკრულების მიხედვით, საქართველოს მთავრობა ვალდებულია ინტელექტუალური საკუთრების უფლების მაღალ დონეზე დაცვისა და უფლების აღსრულებისთვის ადეკვატური ზომების უზრუნველსაყოფად,

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს სახელმწიფოს სტრატეგიული მიზანი ევროკავშირში გაწევრიანებაა, ჩვენი ქვეყნისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მონაწილეობა ევროპის სივრცეში მიმდინარე პროცესებში, 2014 წლის ივნისში ხელი მოეწერა ასოცირების შეთანხმებას ევროკავშირსა და საქართველოს შორის. ამ ხელშეკრულების ხელმოწერა ქვეყნისთვის ნიშნავს კანონის უზენაესობის აღიარებას და კანონდებლობის დაახლოებას ევროპულ სტანდარტებთან, რის შედეგადაც საქართველოს მთავრობამ აიღო ვალდებულება 2016 წლის სამოქმედო გეგმის ჩაეტარებინა მთელი რიგი საკანონდებლო ცვლილებები, მათ შორის საავტორო და მომიჯნავე უფლებები სამართალში შესაშესახებ.

საქართველოში ყოფილა შემთხვევა, როდესაც ადამიანს გასჩენია პრეტენზია და განუცხადებია, რომ მისი საავტორო უფლებები დაირღვა. მიზეზად კი იმას ასახელებდნენ, რომ საქართველოს, სამართლებრივი ზომები ამ საკითხთან დაკავშირებით, არ გააჩნია. თუმცა, რეალურად, მიზეზი არცოდნიდან უფრო გამომდინარეობს, ვინაიდან კანონმდებლობაში ფართო ბაზა გაგვაჩნია საავტორო უფლებებთან დაკავშირებით.

ჩვენი კანონმდებლობა მონესრიგებული და ჰარმონიზებულია ევროპულ კანონმდებლობასთან. საქართველოში არსებობს დაცვის ყველა ის მექანიზმი, რომელიც თანამედროვე მსოფლიოში მოქმედებს. საქართველოს კანონმდებლობაც ცდილობს მაქსიმალურად დაცული იყოს საავტორო უფლებები. საქართველოს კანონი „სავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ არეგულირებს იმ საავტორო ქონებრივ პირად არაქონებრივ უფლებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, რომელიც წარმოიშობა მეცნიერების, ლიტერატურის ნაწარმოებთა შექმნისა და გამოყენებისას.

გამოყენებული ლიტერატურა

მონოგრაფიები

1. გაბუნია დ, თაქთაქიშვილი გ, საერთაშორისო საავტორო სამართალი, წიგნი 1: ბერნის კონვენცია, რომის კონვენცია, TRIPS შეთანხმება: ანალიზი და კომენტ., თბ., 2016
2. გაბუნია დ, თაქთაქიშვილი გ, საერთაშორისო საავტორო სამართალი, წიგნი 2: ისმო-ს ხელშეკრულება საავტორო უფლებების შესახებ, ისმო-ს

ხელშეკრულება შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ: ანალიზი და კომენტ., თბ., 2016

3. კორკელია კ, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბ.,
4. ლილუაშვილი თ, საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი, 2000
5. საქართველოს კანონებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების კრებული, თბ., 2008
6. საჯია ლ., ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები, თბ., თსუ, 2014
7. ძამუკაშვილი დავით, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თბ., 2002
8. ძამუკაშვილი, პარიზის კონვენცია, ბერნის კონვენცია, თბილისი, 2000
9. ჯორბენაძე ს, საავტორო უფლებები ცხოვრებაში, თბ., 2006
10. ჯორბენაძე ს, ინტელექტუალური საკუთრების განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1998

უცხოური ლიტერატურა

11. Bouchoux, Deborah, Intellectual property, The Law of Trademark, Copyright, Patent and Trade secrets, third edition, USA, 2009
12. Bonnet, Code de la Propriété Intellectuelle, 4th ed, Paris, 2004
13. Bradgate, Robert/White Fidelma, Legal Practice Course Guides Commercial law, Oxford, 2007.
14. Colson, Catherine/ Middleton, Kirsty, Modern Intellectual property Law, London, 2005.
15. Deazley, Ronan, Rethinking Copyright, history, theory, language, Cornwall, Bodmin, 2006.

ნორმატიული აქტები

16. საქართველოს კანონი "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ"

ვებ-გვერდები

17. www.sakpatenti.gov.ge